გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 14
(11 471)

20 – 22 თებერვალი, 2001 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




## „ბასკოს“ მსგავსად, ჯერ არავის დაუწყია!..

და კიდევ: იხ. მე-7 გვ.

კალათბურთში საშინაო ჩემპიონატის კალენდარი



3

## საქართველოში ფეხბურთის დანერგვის 100 წლისთავის ზეიმს 13 მაისისათვის გვთავაზობენ

## ერიჰაა!

## მოცურავეებს აუზში რა უნდათ, აუზს დელფინი უფრო დაამშვენებს!

ასეთი აზრი კაცს რომ დაებადება, იგი ან სპორტთან უნდა იყოს ძალიან მწყრალად ან საკუთარ თავთან. მით უფრო, თუ სპორტული ბაზა, კერძოდ, ვაკის დახურული საცურაო აუზი, პრივატიზებულია სპორტული პროფილის შენარჩუნებით და არა დელფინარიუმად გადასაკეთებლად. რაც გინდა ის სთქვი, ამ ხალხს ყველაფერი გასდით და არც ის უნდა გაგვკვირვებოდა, აუზში ნიანგები რომ გაეშვათ.

მოდით, საკითხი მარტივად დავსვათ: ვის აქვს უფლება ხალხის ქონება, მათივე კეთილდღეობისთვის აგებული სპორტული ბაზა ისე გამოიყენოს როგორც მოეპრიანება? ჯერ ის არ იკმარეს, რომ საცხოვრებელი ბინები მიაშენ-ჩააშენეს, ახლა დელფინებით თავის გართობა და შემოსავლის მიღება გადაუწყვეტიათ. ვიღას ახსოვს ცურვა, წყალბურთი, წყალში ხტომა, ვინ რას დაგიდევს ქართული სპორტის ინტერესებს, ბავშვებისთვის ცურვის შესწავლას, ადამიანების გაჯანსაღებას. წყლის სამყაროს მოყვარულებს ისღა დარჩენიათ, ტრიბუნიდან ადევნონ თვალი თუ როგორ ლაღად ცურავენ აუზში... დელფინები.

„ლელო“ უფლებას იტოვებს განაცხადოს: ბოლოს და ბოლოს როდემდე გაგრძელდება თვითნებობა, სად არიან ის ორგანიზაციები, ვინც უნდა გააკონტროლოს პრივატიზაციისას დადებული პირობები და ხელშეკრულების შესრულება?



2,7

## ლეგენდარული ფრანგი მორაგბის მიშელ იაშვილის ვაჟიშვილმა გრეგუარ იაშვილმა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ითამაშა

## ჭიდაობის ფედერაციამ «ფალავანთა დეკადა» გვაჩუქა

2

## რას ნიშნავს სექვესტრი ძიუდოს ენაზე?




სიახლე თბილისში!

## ტოლსტაო ახლო ხედით

4



- სფფ-ს ოფისისთვის უეფამ თანხა გამოჰყო.
- კალაძის ტრანსფერის თანხიდან „დინამოს“ წილი დროებით კვლავ გასაიდუმლოებული რჩება.
- ეკუთვნის თუ არა „დინამოს“ მოწილეებს რაიმე? – საქმე ალბათ სასამართლომდე მივა.

3

## საქართველოს სპორტის ახალი თავკაცი ირაკლი მეძმარიაშვილი და სპორტსმენები ასეთ სასიამოვნო ვითარებაშიც ეცნობიან ერთმანეთს

2



ჩემპიონთა ლიგა
II ეტაპი

## ეროვნული ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

5,6



ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის საფეხბურთო სკოლა – „აკადემიის“ გუნდმა ერევნის საერთაშორისო ტურნირი მოიგო

4

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

- **ენდრიუ ლუისი** (სურათზე) პირველი გაიანელი მოკრივეა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონი გახდა WBA-ს ვერსიით ქვესაშუალო წონაში. მან ამერიკელ ჯეიმს პეიჯს სძლია.

გაიანას პრეზიდენტმა გუშინდელი ორშაბათი უქმედ გამოაცხადა ამ მოვლენასთან დაკავშირებით. ამასთან, მოკრივეს დიდებული სახლი და მიწის ნაკვეთი უბოძეს.

- **სათხილამურო სპორტი.** ლახტში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში გათამაშდა მედლები ტრამპლინიდან ხტომაში. პოლონელმა ადამ მალიშმა, რომელიც პირველი ცდის შემდეგ ლიდერობდა, უპირატესობა ველარ შეინარჩუნა და 2,8 ქულით ჩამორჩა გერმანელ მარტინ შმიტს. უძლიერესი ექვსეული ასე გამოიყურება: 1. შმიტი — 276,3 ქ., 2. მალიში — 273,5, 3. იანე ახონენი (ფინეთი) — 267,4, 4. მარტინ ხელვარტი (ავსტრია) — 251,4, 5. შტეფან ხორნგახერი (ავსტრია) — 238,9, 6. სვენ ხანნავალდი (გერმანია) — 236,9.



### შეიქმნა წყალბურთის მსოფლიო ლიგა

ჩვენ რითი ვართ სპორტის სხვა სახეობებზე ნაკლებიო, თქვეს წყალბურთელებმა და მსოფლიოს ლიგა შექმნეს. ეს ამბავი გამოცხადდა ლოზანაში სპორტის საწყლოსნო სახეობათა საერთაშორისო ფედერაციის სხდომაზე.

წინასწარი თამაშები წელსვე, 23 აგვისტოდან 1 სექტემბრის ჩათვლით გაიმართება, ხოლო სუპერფინალები 19-23 სექტემბერს ათენში ჩატარდება. შესარჩევ სტადიაზე უძლიერესი ნაკრებები ორ ჯგუფად გაიყვნენ:

**A ჯგუფი.** ბრაზილია, საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი.

**B ჯგუფი.** ხორვატია, უნგრეთი, რუსეთი, აშშ.

ტურნირის საპრიზო ფონდი 330 ათას დოლარს შეადგენს.

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 6 თვე დარჩა

**დაჯილდოება**

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი სპორტულ ტანვარჯიშში, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი და საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ***მიხეილ იმნაძე*** დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

## უნივერსიადის პროგრამაში ჩართვა ბევრს სურს, მაგრამ...

„მაგრამ ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა პროგრამა უსაშველოდ გავზარდოთ, თანაც სპორტის ისეთი სახეობებით, რომლებიც ჩვენი უნივერსიადის პროგრამაში არასდროს შედიოდა, მაგალითისათვის დავასახელებ კარატეს, ბილიარდს, ინვალიდთა სპორტს და ა.შ. — აცხადებს საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის გენერალური მდივანი გივი მძელური.

მისივე თქმით, დაემატოს თუ არა პროგრამას სპორტის რომელიმე სახეობა, უნდა გადაწყვიტოს მხოლოდ ჩვენი ფედერაციის პრეზიდიუმმა, სხვა დონეზე საკითხის განხილვა და მიღებული გადაწყვეტილება კი არაოფიციალურია. ამასთან, თუ რომელიმე უმაღლესი სასწავლებელი ან ფედერაცია თავის თავზე აიღებს სპორტის ამა თუ იმ სახეობაში შეჯიბრების ჩატარებას უნივერსიადის დღეებში, მის დაფინანსებას და ა.შ. მაგრამ შედეგები არ შევა კომპლექსურ ჩათვლაში, ჩვენს ფედერაციას შეიძლება საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდეს.

## რა გირჩევნია, კაზინო თუ საბილიარდო?

*ამ კითხვაზე პასუხს ალბათ ყველა თავისი ინტერესებისა და გემოვნების მიხედვით გასცემს, რაც, ცხადია, სადავო არ უნდა იყოს. მაგრამ ჩვენ თუ გვკითხავთ, კაზინოს, საბილიარდო გვირჩევნია, თუ რატომ, ვფიქრობთ, გასაგებია. ერთს ვიტყვით მხოლოდ, კაზინოსაგან განსხვავებით, თუ იმ საბილიარდოში, რომელზედაც ქვემოთ მოგახსენებთ, ბავშვთა და მოზარდთა სკოლაც გაიხსნება, სიხარულით ცას უნდა ვეწიოთ. ეს მართლაც ასე იქნება, რადგან ბილიარდის ახალი კლუბი, რომელიც თბილისში, გამსახურდიას გამზირის 41 ნომერში ადრინდელ კაზინოს ნაცვლად გაიხსნა, თავის ძირითად ამოცანად ისახავს ბილიარდისნაირსახეობათა პროპაგანდას ახალგაზრდებს შორის საგანგებოდ ჩამოყალიბებული თამაშის შემსწავლელი ჯგუფების მეშვეობით. მასწავლებლები და კონსულტანტები კი თბილისში ნამდვილად საკმაოდაა. თუნდაც ლეგენდარული მოთამაშის გივი კობოსნიძის სახელი და გამოცდილება რად ღირს.*

*აი ასეთი კლუბი გაიხსნა გასულ პარასკევს ზემოხსენებულ მისამართზე. კლუბს „იმპერიალი“ ჰქვია, მისი მეპატრონის, ახალგაზრდა კაცის დათო ჯალიაშვილისა და მის თანამდგომთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იმ საღამოს ბილიარდის ჭეშმარიტი ზეიმი გაიმართა ისეთ კლუბში, რომლის ბადალი საქართველოში არ მოიძებნება და ევროსტანდარტებსაც შეეფერება.*

*მოწვეულთა შორის იყო ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი, რომლის გატაცება ბილიარდით, ყველამ კარგად იცის. სწორედ მან შეასრულა პირველი დარტყმა და თქვენ წარმოიდგინეთ, პირველი ბურთულაც მან ჩააგდო.*

SALT LAKE 2002

TM © 1997 SLOC 36 USC 380

## ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს წელიწადი გვაშორებს

**ძიუდო. საერთაშორისო ტურნირი**

## ჩვენს ძიუდოისტებს სეკვესტრი წამოეწია

ჯერჯერობით ჩვენში ძიუდოს ყველაზე მეტი მედალი მოაქვს საერთაშორისო შეჯიბრებებიდან და ეს ტრადიციად იქცა., აქედან გამომდინარე სპორტის ეს სახეობა მეტ ყურადღებას იმსახურებს, ცხადია, აქ დაფინანსებაც იგულისხმება. დადგა 2001 წლის სპორტული სეზონი და ძიუდოისტებსაც დაეწყოთ ტურნირები, რომლებიც ერთიმეორის მიყოლებით ჩატარდება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ყველა ცდილობს არ გამოტოვოს არც ერთი ტურნირი, რადგან შემდეგ ჯერ ევროპის, მოგვიანებით კი მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდება. წლეულს პირველი A კატეგორიის ტურნირი მოსკოვში უნდა ჩატარებულიყო იანვარში და, ჩვენდა საზიანოდ, ჩაიშალა. ჩვენდა საზიანოდ იმიტომ, რომ მოსკოვში გამგზავრება და ასპარეზობა შედარებით იაფი დაჯდებოდა. სამაგიეროდ, რუსეთის დედაქალაქი ძიუდოში გრანპრის ასპარეზობას უმასპინძლებს წლეულსვე, შემოდგომაზე ამ ტურნირის საპრიზო ფონდი კი უკვე ცნობილია — 100 ათასი აშშ დოლარი! ჩვენები მიიღებენ თუ არა მონაწილეობას, ძნელი სათქმელია, რადგან ნაცვლად 360 ათასი ლარისა, მხოლოდ 120 ათასი ლარი გამოეყო ფედერაციას, თანაც ხელფასების ფონდის ჩათვლით. სამწუხაროდ, შემოდგომისთვის ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატები უკვე ჩავლილი იქნება.

ევროპის ჩემპიონატი მაისში პარიზში ჩატარდება. ახლა სწორედ ამ ქალაქმა უმასპინძლა სუპერ A კატეგორიის ტურნირს. ჩვენმა ფედერაციამ ასე გადაწყვიტა: რაკი ფინანსური სიდუხჭირე არ იძლევა ყველა ტურნირში მონაწილეობის შესაძლებლობას, ბიჭებს იქ გამოსცდიან, სადაც ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატები ტარდება. ამ პრინციპით შეარჩიეს პარიზი, სადაც ოთხი დღე შეკრებაც გაიარეს ჩვენებმა ასპარეზობების შემდეგ. სამწუხაროდ, პარიზში სრულის ნაცვლად ნაკრების ნახევარი შემადგენლობა გაემგზავრა. ისევ და ისევ ფინანსური ხელმოკლეობის გამო. თანაც ამ ექვსი სპორტსმენიდან ორი იყო ძირითადი შემადგენლობიდან (რევაზიშვილი, ჯიქურაული), ოთხი კი ახალგაზრდაა. მეორე ნახევრის, ანუ კიდევ 6 ძიუდოისტის გამოცდა მიუნხენის ტურნირზე იგეგმება, სადაც, მოგვიანებით, როგორც ზემოთ ითქვა, მაისში მსოფლიოს უძლიერესი ძიუდოისტები შეიკრიბებიან. მანამდე ტურნირები ტარდება აგრეთვე იტალიაში, ჩეხეთში, უნგრეთში, პოლონეთში. როგორც ჩვენი ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ანზორ მარტყოფლიშვილმა გვითხრა: შეიძლება ჩვენებს პოლონეთში გამოსვლის მატერიალური შესაძლებლობა მიეცეთ. არადა, როცა ამდენი ტურნირი ტარდება, მხოლოდ ერთორში მონაწილეობით როგორ გინდა მეტოქეობა გაუწიო, ვინც არც ერთ შეჯიბრებას არ გამოტოვებს?

დავუბრუნდეთ პარიზის ტურნირს. 73 კგ. წონით კატეგორიაში ჩვენგან ორი ძიუდოისტი — გამოცდილი გიორგი რევაზიშვილი და ახალბედა დავით ნადარაია ასპარეზობდა. რევაზიშვილმა სამი შეხვედრა მოიგო, მაგრამ გადასასვლელი შერკინება წააგო, დამამშვიდებელ წრეში კი სიდნეიში თავისივე მძლეველს უზბეკეთელ შტურბაბინს გადაეყარა და აქაც დამარცხდა. ნადარაიამ კი ორი ბრძოლა მოიგო და შემდეგ ასპარეზობას გამოეთიშა. 81 კგ. წონაში იგივე ბედი ეწია ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონს გრიგოლ მამრიკიშვილს. გამოცდილმა ივერი ჯიქურაულმა (100 კგ) წარმატებით იარა ფინალამდე, აქამც ოლიმპიურ ჩემპიონთან უნგრელ ვეტერან კუკაჩთან სამი კოკათი იგებდა, მაგრამ ბოლოს დამარცხებულმა დატოვა ტატამი. 90 კგ. წონაში მსოფლიო ჩემპიონს ახალგაზრდებში ზურაბ ზვიადაურს პირველივე შეხვედრაში მოეცარა ხელი და რაკი მისმა მძლეველმა ფრანგმა სომეხმა მომდევნო შეხვედრა წააგო, ჩვენებურიც ასპარეზობას გამოეთიშა. 60 კგ-ში მოასპარეზეთა შორის ლაშა სარდანაშვილმა კარგად დაიწყო, ორი შერკინება მოიგო, მაგრამ ამის მეტი ველარ შეძლო და ტურნირს ისიც გამოეთიშა.

**ცოტნე ბაქრაძე**

## „კლასიკოსები“ — ახალგაზრდული იმიჯით



ბოლო დღეებს თამამად შეიძლება ჭიდაობის დეკადა ეწოდოს, დიახ, ერთმანეთს მიჰყვა საქართველოს ორი ჩემპიონატი, ჯერ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა, რომელსაც მალე „კლასიკოსთა“ გამოსვლები მოჰყვა. ეს ორი ტურნირი, რომ იტყვიან, გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს მასობრიობითა და უკომპრომისო შეხვედრებით (პირველში 110 სპორტსმენი იბრძოდა გამარჯვებისათვის, მეორეში 100). მთავარი მაინც შეჯიბრების მაღალი დონე იყო, რომელიც ოლიმპიადა-2004-ის დამლით ჩატარდა, ვფიქრობთ, სწორედ ამან განაპირობა ის დაძაბული ორთაბრძოლები, განსაკუთრებით ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც ხელმოცარულნიც კი, ბოლომდე თავდადებით იბრძოდნენ თითოეული ქულისათვის. ამის საილუსტრაციოდ 76 კგ წონის გარდაბნელ ტარიელ მელელაშვილისა და თბილისელ ბადრი ხასაიას მეორე-მესმე ადგილისათვის შეხვედრა კმარა. ეს სახელები ჭიდაობის მოყვარულთათვის კარგადაა ცნობილი. ახალგაზრდებს შორის ორივე ევროპისა და მსოფლიო პირველობების გამარჯვებულები და პრიზიორებია. ამიტომ გასაკვირი არ ყოფილა, რომ მათ ბევრი ამ წონაში ფავორიტად მიიჩნევდა. მაგრამ, მოხდა ისე, აქ გამარჯვება ქუთაისელ გიორგი ჯინჭველაშვილს ერგო და მათ მხოლოდ მომდევნო ადგილისათვის უნდა ებრძოლათ. აი, ეს ბრძოლა გამოდგა სწორედ დასამახსოვრებელი ფინალების დღეს, რომელშიც გარდაბნელმა ფალავანმა იმარჯვა (7:4) და ვერცხლის მედალი მას დარჩა. რაც შეეხება 63 კგ წონით კატეგორიის მოჭიდავეთა გამოსვლებს, აქაც ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. მათ შორის იყო XXVII ოლიმპიური თამაშების პრიზიორი აკაკი ჩაჩუა, რომელიც ლეგენდარულმა ალექსანდრ კარელინმა სიდნეის ხალიჩაზე საუკეთესო ტექნიკურ მოჭიდავედ სცნო და ამის შესახებ ოფიციალურად განაცხადა კიდეც. აკაკიმ ტურნირი ყოვლად უპრობლემოდ განვლო, მისმა ჭიდაობამ ფინალში ქუთაისელ კახა ცირამუასთან დაიმსახურა მოწონება და პირველობაც მოიპოვა. ამ წონაში სპეციალისტებმა გამოარჩიეს ახალგაზრდა ოზურგეთელი ევროპის პრიზიორი თანატოლებში თემურ თხილაიშვილი, მაგრამ იგი პრიზიორებს მიღმა აღმოჩნდა.

„თავისუფალთა“ ჩემპიონატის მსგავსად, აქაც იყო დაწესებული სეოკის სპეციალური პრიზი — „ოლიმპიური იმედი“, რომელიც 97 კგ წონაში გამარჯვებულ რამაზ ნოზაძეს გადაეცა.

**კვარცხლბეკი.** ***54 კგ:*** 1. ალექსანდრე კუნჭულია (აჭარა), 2. ვაჟა ომანიძე, 3. ალექსანდრე ტაბატაძე (ორივე — თბილისი); ***58 კგ:*** 1. ირაკლი ჭოჭუა (თბილისი), 2. მიხეილ ზავრაშვილი (რუსთავი), 3. პაატა ბიწაძე (თბილისი); ***63 კგ:*** 1. აკაკი ჩაჩუა, 2. ლევან ოდიშარია (ორივე — თბილისი), 3. კახა ცირამუა (ქუთაისი); ***69 კგ:*** 1. ალექსანდრე დოხტურიშვილი (გარდაბანი), 2. შმაგი გოქაძე (ქუთაისი), 3. მანუჩარ კვირკველია (თბილისი); ***76 კგ:*** 1. გიორგი ჯინჭველაშვილი (ქუთაისი), 2. ტარიელ მელელაშვილი (გარდაბანი), 3. ბადრი ხასაია (თბილისი); ***85 კგ:*** 1. ხვიჩა ბიჩინაშვილი (გარდაბანი), 2. ზურაბ წიქარიძე, 3. პეტრე მეტრეველი (ორივე — თბილისი); ***97 კგ:*** 1. რამაზ ნოზაძე (თბილისი), 2. გენადი ჩხაიძე (აჭარა), 3. ზაზა სილაგაძე (თბილისი), ***130 კგ:*** 1. მირიან გიორგაძე (თერჯოლა), 2. გიორგი წურწუმია (თბილისი), 3. ლაშა გვადიბაძე (ქუთაისი).

**შუშანა ჯიჯინაძე**

## გავიმარჯვეთ, მაგრამ შეგვეძლო უკეთ გვეთამაშა

**ევროპის „ერთა თასის“ მეორე ტურში ისევ გაიმარჯვეს ფავორიტებმა: საქართველომ თბილისში 36:12 ძლია პორტუგალია, რუმინეთმა სევილიაში 27:12 ესპანეთი, ხოლო რუსეთმა ამსტერდამში 41:20 ჰოლანდია.**

**ამრიგად, ორი ტურის შემდეგ, აღმოსავლეთი ევროპა დასავლეთს ექვსით ნულს უგებს და დარჩენილ სამ ტურში სწორედ რუმინეთის, საქართველოსა და რუსეთის პირისპირ შეხვედრებში გამოვლინდება ჩემპიონი.**

***საქართველო 36:12 პორტუგალია***

*თბილისი, ეროვნული სტადიონი. 17 თებერვალი*

***საქართველო*** *— 6 ლელო: ზედგენიძე (2, 25), აბუსერიძე (38), ზიბზიბაძე (57, 72), ბოლოაშვილი (59); 3 გარდასახვა: ჯიმშელაძე (38, 57, 59)*

***პორტუგალია*** *— არეკნი: პისარა (6); 3 საჯარიმო: მელეირუ (17, 30, 47)*

ამჯერად ზეიმი ვერ გამოვიდა პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე. მიზეზი თოშიანი ქარი იყო. ამის გადამკიდე, ქომაგთა უმეტესმა ნაწილმა შინ, ტელევიზორში ირჩია „ბორჯღალოსანთა“ ყურება და ტრიბუნებზე დიდი რაგბისთვის უჩვეულოდ ცოტა, სულ რაღაც 7 ათასი თავგმოდებული ქომაგი თუ შეგროვდა.

ქარმა მოასპარეზეებიც გვარიანად შეაწუხა. თუმცა ამათ ცდა არ დააკლიათ, რომ მაყურებელი ხეირიანი სეირით დაეპურებინათ, აქედან არა გამოვიდა რა, რადგან ტურნირის ორგანიზატორის, აერ-ის ახირებით, ევროპის დონით მეორე შეჯიბრების მატჩები მაშინ იმართება, როცა, წესითა და რიგით, ხალხი ბუხარს უნდა უჯდეს და თბებოდეს.

„ბორჯღალოსნები“ მატჩისთვის რიგიანად ვერ მოემზადნენ. მათ ფრანგ მწვრთნელს კლოდ სორელს ოჯახური პრობლემები შეექმნა და თბილისში თამაშის წინა საღამოსღა ჩამოვიდა, თორემ მანამდე ამერიკის ყულზე, კოსტა-რიკაში მოუწია შევლა. მერე კიდევ, უგადიო გუნდში მატჩის წინა დღით რაღაც შელაპარაკება მოხდა, რისი სავალალო შედეგიც ზედ მატჩის წინ გაირკვა:

შინ მოთამაშე „ბორჯღალოსნებს“ აღარა ჰყავდათ მეშვიდე სათადარიგო (22-ე მოთამაშე), მაშინ, როცა საქართველოში ამჟამად 1200 მოქმედი მორაგბეა და სორელსაც 30 უკეთესი ჰყავს შეგულვებული სანაკრებოდ.

ჩვენდა ბედად, პორტუგალია ვერ აღმოჩნდა იმ დონის მეტოქე, რომელსაც კაცნაკლული რაზმით ვერ მოვერეოდით. ჩვენი შერკინების პირველმა და მეორე ხაზმა (მძიმე და ზორბა ფორვარდებმა) მეტოქე ერთობ დაიბრიყვს, რამაც დაწყებიდან საათის თავზე კიდეც გადაწყვიტა მატჩის ბედი.

აი, მანამდე კი პორტუგალია გვარიანად გაგვიძალიანდა, თუმცკი პირველი ლელო მატჩის მეორევე შერკინებიდან მიიღო. სტუმრები არ დაბნეულან და თითო არეკნითა და საჯარიმოთი ერთი პირობა ქულითაც კი წინ გაიჭრნენ 6:5.

ქართველებმა სტატუს-ქვო მალევე აღადგინეს. კახა ალანიასა და ბესიკ ხამაშურიძის გარღვევას მეტოქის ლელოს ალყა მოჰყვა. ამან ბარემ ხუთ წუთს გასტანა და ილო ზედგენიძის მეორე, ისევ ძალისმიერი ლელოთი დასრულდა 10:6.

ამის მერე იყო, რომ პორტუგალია ხელდახელ თამაშზე გადავიდა და ბეკებით კლასიანად შეგვიტია. სალდანია ჩვენებმა ზედ კუთხის ალამთან დასცეს, მაგრამ მელეირუმ საჯარიმო შეაგდო და სხვაობა ისევ ერთ ქულამდე შეამცირა.

ამან ჩვენები ისევ გააგულისა. კვლავ ალანიამ, ხამაშურიძემ, ვიქტორ დიდებულიძემ, პალიკო ჯიმშელაძემ და კომპანიამ აიღეს ხელში თამაშის სადავეები. ისევ მეტოქის ლელოს გაჭიანურებული შტურმი და ირაკლი აბუსერიძის კადნიერი ლელო 17:9.

მეორე ტაიმი პორტუგალიამ უფრო მობილიზებულმა დაიწყო. მელეირუმ ერთი ჯარიმა გაგვიტანა, მაგრამ კრიტიკულ მომენტში, 55-ე წუთზე, როცა სხვაობის ორ ქულამდე შემცირება შეეძლო, 30 მეტრიდან ააცილა კარს და სტუმრებიც აირივნენ.

ჩვენებმა ამით უმალ ისარგებლეს. ხელ-ფეხი გაეხსნათ ქართველთა უკანა ხაზელებს. ორი წუთის ინტერვალით ჯერ იყო ნორჩმა თედო ზიბზიბაძემ მოაწყო 60-მეტრა სლალომი და გზად ბევრი სტუმარი გააცურა. ცენტრიდან ცუდად დაარტყა პორტუგალიამ და ახლა თედოს კბილა დათო ბოლოაშვილმა გაინავარდა მეტოქის ლელოსკენ 31:12.

ამით ბრძოლა მორჩა. დარჩენილ დროში ჩვენებმა კიდევ ორი ლელო გაიტანეს, მაგრამ მსაჯმა მარტო ერთი ჩაგვითვალა. და კიდევ, ზიბზიბაძის მეორე ლელო საიუბილეო, მე-100 იყო „ბორჯღალოსანთა“ 13-წლიანსა და 39-მატჩა მატიანეში.



*საქართველოში რაგბის ფუძემდებლები: გივი მრელაშვილი და ჟაკ ჰასპეკიანი (მარცხნივ)*

დასკვნად კი რა შეიძლება ითქვას?

გამარჯვება ულაპარაკო და დამსახურებული იყო, მაგრამ ნაკრებს უკეთ თამაში მართებს.

გარდა ამისა, ცოტა არ იყოს, გასაკვირია ის, რომ მესიე სორელი ამ დონის მატჩებს საექსპერიმენტოდ იყენებს. აი, ახლაც, უჩაუქსი ქართველი მარბიელი გია ლაბაძე შერკინების ფრთის მაგივრად ლამის მთელი თამაში უკანა ხაზში, გარემარბად მოცდა, რამაც „ბორჯღალოსანთა“ შეტევებს სიმწვავე და ეშხი დაუკარგა.

**სხვა მატჩები:**

***ესპანეთი 12:27 რუმინეთი***

***ესპანეთი*** *- 4 საჯარიმო: კოვალენკო (3, 11, 38, 46)*

***რუმინეთი*** *- 3 ლელო: ბელანი (18), ბრეზოიანუ (66), გიოკი (71); 3 გარდასახვა და 2 საჯარიმო (6, 70): მიტუ.*

**იხ. მე-7 გვ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო გაზეთი

GEORGIAN FOOTBALL FEDERATION

# მერაბ ჟორდანია:

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან მერაბ ჟორდანიასთან ინტერვიუ ევროპული მივლინების შემდეგ აეროპორტში შედგა.

## ● ნაკრები კიოლნში ითამაშებს
## ● რუმინეთამდე სტადიონის მდგომარეობა აუცილებლად გამოსწორდება
## ● სამართლებრივ სახელმწიფოში საბოლოო გადაწყვეტილება მხოლოდ სასამართლომ უნდა მიიღოს...

***● ბატონო მერაბ, ვიზიტის გახანგრძლივების მიზეზი რა იყო?***

— ევროპაში მიმდინარე პროცესების ფერხულში საქართველოცაა ჩაბმული. ახალი სატრანსფერო სისტემა ჩვენში ფეხბურთის განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამ საკითხთან დაკავშირებით მონაწილეობა მივიღე სამუშაო ჯგუფის სხდომებში. ამჟამად თითქოს გამოსავალი გამოიძებნა ფიფასა და უეფას შორის, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც ევროკავშირი მიიღებს, ისე, არ მეგონა, თუკი ასე მოკლე დროში მივიდოდნენ კონსენსუსამდე. არის კიდევ პატარა პრობლემები საფეხბურთო პროფკავშირებთან, ე.წ. ფიპროსთან, მაგრამ, ვფიქრობ, ამასაც მოევლება.

***● უკრაინასთან მატჩის ვიდეოჩანაწერი ალბათ ნახეთ...***

— არა, შვეიცარიაში მატჩს პირდაპირი ეთერით ვუყურე, მომეწონა ფეხბურთელთა ბრძოლისუნარიანობა, დანარჩენი მწვრთნელთა გადასაწყვეტია...

***● რუმინეთამდე კიდევ იყო დაგეგმილი ორი ამხანაგური მატჩი.***

— „კიოლნთან" დაგეგმილი ამხანაგური მატჩი შედგება. 27 თებერვალს გერმანული კლუბი საკუთარი ხარჯებით გვიმასპინძლებს. „მალიორკასთან" მატჩი კი 1 მარტს აღარ გაიმართება, ვადას მოგვიანებით დავადგენთ და ეს მატჩი, ალბათ, წლის ბოლოს ჩატარდება.

***● რუმინელებთან მატჩამდე პრობლემურია სტადიონის საკითხიც.***

— კატასტროფა თავიდან უნდა ავიცილოთ. სტადიონის დისკვალიფიკაცია უნდა გამოვრიცხოთ. ყველა პრობლემას — მაყურებლების განთავსებას, განათებას, ახლა მინდვრის უვარგისობაც დაერთო. მზად ვართ უცხოელი სპეციალისტი მოვიწვიოთ, რათა მინდვრის მდგომარეობა გამოვასწოროთ. ჯამარაულმა და ყაველაშვილმა, რომლებმაც შვეიცარიაში ჩამოისწრეს, აღშფოთება ვერ დაფარეს მინდვრის გამო. ეს სასწრაფოდ მისახედი პრობლემაა. სტადიონის შესახებ მარტო სფფ არ უნდა წუხდეს, ამაზე სხვებიც, ვისაც ეს ეხება, უნდა ზრუნავდნენ. 28 მარტამდე ყველა პრობლემა უნდა მოიხსნას, რათა მატჩი შესაფერის პირობებში და ვითარებაში ჩავატაროთ.

***● ამ დღეებში თბილისის „დინამო" შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა...***

— თბილისის „დინამოს" საკითხი ყოველთვის მნიშვნელოვანია. მე „დინამოს" ერთ-ერთი დამფუძნებელი ვიყავი და ადრე განვაცხადე, რომ მასზე არავითარი პრეტენზია არ მექნებოდა. მაგრამ ახლა ისეთი ვითარებაა, თითქოს, მეწილეთა ერთმა



მხარემ მეორე ცარიელი დატოვა, რომელიც ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება და, ალბათ, მტყუან-მართალი სასამართლოში გაირკვევა.

***● „დინამომ" ვალები გადაიხადა, თქვენი მონაცემებით თუ მოეხსნება სატრანსფერო ყადაღა?***

— არაოფიციალურად ცნობილია, რომ ყადაღა მოიხსნა.

***● როგორი იქნება „დინამოს" ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის საკითხი?***

— ჩვენ აუცილებლად უნდა მივიღოთ ცნობა „დინამოს" რეგისტრაციის შესახებ. მეორე წრეში „დინამო" ითამაშებს, მაგრამ თუ ეს პროცესი გაიწელა, სამწუხაროდ, გუნდს შეღავათს ვეღარ გავუწევთ. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს საკითხიც მოგვარდება.

***● ისევ ყბადაღებულ კითხვას გავიმეორებთ: კალაძის კონტრაქტიდან „დინამოს" თუ ეკუთვნის რამე?***

— თანხის რაოდენობა კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნების უფლება არ მაქვს. ვიმეორებ, როგორც კი „დინამოს" რეგისტრირებული, ლეგიტიმური ხელმძღვანელობა ეყოლება სათანადო დოკუმენტაციით დამოწმებული, კიევისა და თბილისის დინამოების ხელმძღვანელებს ერთმანეთს შევახვედრებ.

***● სფფ-ს გენერალური მდივანიც შვეიცარიაში იმყოფებოდა და ალბათ მასაც შეხვდით...***

— როგორც იცით, ბატონი ვალერი ადმინისტრაციული კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობდა. ამასთან, ნაკრების ბაზისა და სფფ-ს ოფისის მშენებლობის დაფინანსების ამბავიც გაირკვა. ჩვენი საკითხი უპირობოდ მიიღეს და თანხებიც გამოყვეს. სფფ-ს პოზიცია ყველასათვის ცნობილია. ფეხბურთის წინსვლისთვის შესაბამისმა სტრუქტურებმაც უნდა იმოქმედონ და მხარი დაგვიჭირონ, რათა კარგად დაწყებული პროცესი სასიკეთოდ დაგვირგვინდეს.

**მიხეილ საბახტარიშვილი**

# სუპერთასი გადაიდო

**გადაწყდა, საქართველოს ეროვნული ნაკრები 27 თებერვალს გერმანიაში „კიოლნს" ამხანაგურ მატჩს ეთამაშება. ამის გამო გადაიდო ქობულეთში გასამართი, 24 თებერვლის საქართველოს სუპერთასის შეხვედრაც, რომლის ჩატარების დღე დადგინდება და თასის ფინალის მსგავსად, ისიც ტრადიციული გახდება. ეროვნული ნაკრების მატჩმა შეიძლება გარკვეული გავლენა ეროვნული ჩემპიონატის XVIII ტურის მატჩებზეც იქონიოს, სავარაუდოდ, გადაიდება იმ გუნდების შეხვედრები, რომელთა ფეხბურთელებიც ნაკრებშია მიწვეული.**

# საქართველოს საფეხბურთო კლუბები

# ასლან ხარბედიას 80 წელი შეუსრულდა

თბილისის „დინამოს" პირველი თაობის ვეტერანი ფეხბურთელი ასლან ხარბედია 80 წლისაა! ბატონი ასლანი საქართველოს უპირველესი გუნდის ღირსებას 1939-1946 წლებში იცავდა და 57 მატჩში 22 გოლი გაიტანა. თითოჯერ სსრკ-ის ჩემპიონატების ვერცხლისა (1939) და ბრინჯაოს პრიზიორი (1946) გახდა.

ასლან ხარბედია ღირსეულ პარტნიორობას უწევდა „დინამოს" პირველი პლეადის ლიდერებს — ბორის პაიჭაძეს, გაიოზ ჯეჯელავას და სხვა ჩინებულ ოსტატებს, თავადაც არაერთხელ გაუტანია მეტოქეთა კარში გადამწყვეტი გოლი. მათ შორის ორი დაუვიწყარი გოლი 1939 წელს მოსკოვის ცდკას კარში, როცა დინამოელებმა 5:4 მოიგეს.

ვულოცავთ ამაგდარ ვეტერანს საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

**„ლელოს" №9-ში მე-3 გვერდზე გამოქვეყნებულ ფოტოსთან (რუბრიკით „ფოტომატიანე") დაკავშირებით რედაქციამ რამდენიმე წერილი მიიღო. მათი შეჯერებით ფოტოზე აღბეჭდილ ფეხბურთელთა უმრავლესობა ამოცნობილია, ესენი არიან, მარცხნიდან: ვ. პანიუკოვი, რ. პაიჭაძე, კარაპეტოვი, რუიზ ტაბუცაძე, ბ. ბოგვერაძე, ბ. კიტეიშვილი, კოვალიოვი, გამყრელიძე, უცნობია, უცნობია, გ. ხუციშვილი, ვ. ზაქარეიშვილი.**

**ფოტოზე აღბეჭდილია „ნორჩი დინამოელის" 1938-39 წლებში დაბადებულთა გუნდი ბაკურიანში შეკრებაზე ყოფნისას.**

# ხობის „კოლხეთი"

***საფეხბურთო კლუბ ხობის „კოლხეთის" შესახებ გვესაუბრება მისი მთავარი მწვრთნელი ენუქი თევზაძე:***

— როგორც ცნობილია, გასულ სეზონში გუნდმა დატოვა უმაღლესი ლიგა. ამასთან, გუნდს გამოეთხოვა ზოგიერთი წამყვანი ფეხბურთელი და დარჩა ახალგაზრდა, გამოუცდელი მოთამაშეების იმედად. ამასთან, ფორვარდების გარეშე, რაზედაც მიუთითებს ის ფაქტი, რომ შვიდი თამაში დავასრულეთ ერთნაირი ანგარიშით 0-0. მიუხედავად იმისა, რომ გუნდი აუტსაიდერთა რიგებშია, მსაჯობით კმაყოფილნი ვართ. მეორე წრისათვის მოვიწვიეთ ორი ფორვარდი და ერთი ნახევარმცველი, ვარჯიშს 5 იანვრიდან შევუდექით. ჩავატარეთ საკონტროლო თამაშები: „კოლხეთი2" დავამარცხეთ ორჯერ 3-1 და 1-0, ხოლო ზუგდიდის „ლაზიკა" დიდი ანგარიშით — 5-0. დავალიანება ფეხბურთელების წინაშე არა გვაქვს. წლეულს ისღა დაგვრჩენია, შევინარჩუნოთ პირველი ადგილი ლიგაში და ძირითადი ბირთვი გუნდში. კოლექტივში ჯანსაღი ატმოსფეროა, რაც წარმატებების საწინდარია. გამოვყოფდი ახალგაზრდა მეკარეს შოთა გოგიას. იგი დაიბადა 1982 წლის 5 აგვისტოს. სიმაღლე 182 სმ, წონა 72 კგ.

10 წლიდან დაიწყო ფეხბურთი თამაში, 13 წლის ასაკში მწვრთნელმა თამაზ კოსტავამ მიიწვია სათადარიგო მეკარედ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში (16 წლამდე). 15 წლისამ მოირგო (16 წლამდე) საქართველოს ნაკრების მაისური. ეს პატივი მას რეზო გაგუამ მიაგო უკრაინის ნაკრების წინააღმდეგ მატჩში. 15 წლისა იყო „ოდიში-2"-ის ძირითადი მეკარე, ხოლო 16 წლისა „ოდიშის" ძირითადი მეკარე, რომელიც უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა. 1999 წელს იყო გასინჯვაზე მოსკოვის „დინამოში", მაგრამ ხელმძღვანელობის ცვლილებასთან ერთად შეიცვალა მისი იქ დარჩენის გეგმაც. მისი მიზანია საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გამოსვლა, ოცნების გუნდი კი ტურინის „იუვენტუსია".

**ბელა ნაჭყებია,**
**„ლელოს" კორ. სამეგრელოს რეგიონში**

## გამოხმაურება

# გეთანხმებით, 13 მაისს, ორი იუბილე ერთად აღვნიშნოთ...



**თქვენმა გაზეთმა რამდენიმე ნომერში გაამახვილა ყურადღება საქართველოში ფეხბურთის დანერგვის 100 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნასთან დაკავშირებით. გეთანხმებით, კარგი იქნება თუ წლეულსვე ეს სახელოვანი იუბილე სწორედ 13 მაისს აღინიშნება — ამ თარიღთან ხომ ქართული ფეხბურთის — თბილისის „დინამოს" ყველაზე სახელოვანი წარმატებაა დაკავშირებული.**

**2001 წლის 13 მაისს, თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის მიერ ევროპის ქვეყნების თასების თასის მოპოვებიდან 20 წელი სრულდება. ეს თავისთავადაა სიიუბილეო თარიღი. ვემზადებით თუ არა საზეიმოდ მის აღსანიშნავად? ალბათ უნდა ვემზადოთ! ფეხბურთის გულშემატკივრები გაგვახარა ცნობამ, რომ ცნობილი ქართველი მომღერალი ვახტანგ ტატიშვილი 13 მაისისთვის საგანგებო რეპერტუარს ამზადებს.**

ნოდარ მუმლაძე,
ვაჟა ბილაური, მერაბ კურტანიძე,
ანზორ საბანაძე. თბილისი.



## უკრაინელებთან ამხანაგურ მატჩზე ჩვენს ეროვნულ სტადიონზე 6 ათასი ბილეთი გაყიდულა. ტრიბუნებზე კი 30 ათასამდე მაყურებელი იჯდა. ამგვარი შეუსაბამობა ადრეც ყოფილა ოფიციალურ მატჩზე და გაფრთხილებაც მივიღეთ. რუმინელებთან მატჩზეც თუ იგივე მოხდა, მკაცრი სანქციები არც სტადიონს ასცდება, არც ფეხბურთის ფედერაციას!

# ქართველი ყირგიზეთშიც თამაშობს

**ყირგიზეთის ჩემპიონატი, რომელშიც 12 კლუბი მონაწილეობს, ბიშკეკის სკა-პვოს (ყოფილი „ალგა") გამარჯვებით დამთავრდა. მან 64 ქულა მოაგროვა და 12 ქულით ჩამოიტოვა ბიშკეკის „დინამო". საინტერესოა, რომ მეორე ადგილზე გასულ „ჟაშტიკის" შემადგენლობაში ქართველი ლეგიონერიც გამოდის — 31 წლის ჯამბულ შონია.**

# მეორე ქართველი იტალიის სერია A-ში?



საქმე იქითკენ მიდის, რომ ლატვიის „სკონტოს" კაპიტანი **ალეკო რეხვიაშვილი** მალე დატოვებს ბალტიისპირეთს და აპენინებზე გაემგზავრება, რათა თავისი კარიერა სერია A-ს კლუბ „ბოლონიაში" გააგრძელოს. ამის შესახებ „ქართული ფეხბურთის" კორესპონდენტს თავად ფეხბურთელმა უთხრა საქართველო-უკრაინის ამხანაგური მატჩის დასრულების შემდეგ. ამ ტრანსფერზე თვეზე მეტია მუშაობს იტალიელი აგენტი მაურიციო პევერელი, რომელიც საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელს რევაზ ძოძუაშვილს დაუკავშირდა და სთხოვა მისთვის გაეგზავნათ უკრაინელებთან მატჩის ვიდეოჩანაწერი.

აღსანიშნავია, რომ „ბოლონიას" სკაუტები ამას წინათ, სპეციალურად ჩავიდნენ მოსკოვის „თანამეგობრობის" ტურნირზე, რათა საქმეში ენახათ „სკონტოს" ნახევარმცველი. როგორც ეტყობა, ისინი კმაყოფილნი დარჩნენ ქართველი ლეგიონერის თამაშით და ახლა ტრანსფერის განსახორციელებლად მხოლოდ თანხაზე შეთანხმებაა საჭირო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „აკადემია“ აკადემიაში

***საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიასთან შარშან ამოქმედდა საფეხბურთო სკოლა „აკადემია“, სადაც თავი მოიყარეს 1986-1994 წლებში დაბადებულმა ბავშვებმა. სკოლის სამომავლო გეგმებზე და პერსპექტივებზე გვესაუბრება აკადემიის ფეხბურთის კათედრის უფროსი მასწავლებელი და საფეხბურთო სკოლის დირექტორი თამაზ ჯაში.***



*თამაზ ჯაში*

— „სკოლა სექტემბერში გაიხსნა. სრულფასოვანი ფუნქციონირება დავიწყეთ ოქტომბერში. ამჟამად ჩვენთან 150 ბავშვი ეუფლება ფეხბურთის ანბანს. საფეხბურთო სკოლის გახსნაში დიდი წვლილი მიუძღვით აკადემიის რექტორს ომარ გოგიაშვილს, პრორექტორებს დურმიშხან ჩიტაშვილს, ტრისტან გულბანს, გურამ ძაგანიას, ფეხბურთის კათედრის გამგეს რევაზ ვაწაძეს. საფეხბურთო სკოლის პრეზიდენტია გურამ ძაგანია.

ჩვენი სურვილია აკადემიის მაღალკვალიფიციურ მწვრთნელთა პოტენციალი სრულად გამოვიყენოთ, მათი ცოდნა-გამოცდილება მომავალი თაობის აღზრდას მოვახმაროთ. ამით მათი დასაქმების პრობლემაც გადაიჭრება. პროფესიონალიზმი ყველგან საჭიროა, განსაკუთრებით ბავშვთა ფეხბურთში. საფეხბურრო სკოლას მყარი საფუძველი აქვს. საქმის მცოდნენი აკადემიას არასდროს აკლდა და ახლაც ფეხბურთის კათედრა სრული შემადგენლობით გაუძღვება სკოლის გაფართოება-სრულყოფას. სკოლის უფროსი მასწავლებელი და საფეხბურთო სასწავლო ნაწილის გამგე თენგიზ რატიანია, კათედრის სპეციალისტი — მწვრთნელები: ავთანდილ დოლიძე, ნუგზარ სიგუა; მოწვეული მწვრთნელები: სოსო მუხიგულაშვილი, ანზორ ჯინჭარაძე, ზაზა გერანტია, გია ქვრივიშვილი, ვახტანგ ბაქანიძე, ოთარ კორინთელი. სკოლას ფილიალი აქვს ზუგდიდში. აკადემიის საფეხბურთო სკოლასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს ყაზბეგის რაიონში. მომავალში იქ საზაფხულო, საფეხბურთო ბანაკის მოწყობაც შეიძლება, რაც საქართველოს მთიანი რაიონის ფეხბურთით დაინტერესებისა და ათვისების წინაპირობა იქნება.

აკადემიას მჭიდრო ურთიერთობა აქვს ყოფილი საბჭოეთის ანალოგიურ ინსტიტუტებთან, ვიღებთ მათგან ლიტერატურას, ვეცნობით მათ გამოცდილებას, მეთოდიკას, მუშაობის სტილს და ვცდილობთ, რაც სასარგებლოა ჩვენთან დავნერგოთ. აკადემიის სპეციალისტებთან ასეთი მუშაობა ჩინებული პრაქტიკა იქნება ფაკულტეტის სტუდენტებისთვისაც. შემოდგომაზე ბავშვთა ახალი კონტინგენტის მიღებას გამოვაცხადებთ, ჩავებმებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით გამართულ ტურნირებში, მონაწილეობას მივიღებთ სხვადასხვა შეჯიბრებაში“.

აკადემიის საფეხბურთო სკოლის ყმაწვილებმა უკვე მოასწრეს ორ ტურნირში გამარჯვება. 1990 წელს დაბადებულებმა (მწვრთნელები სოსო მუხიგულაშვილი და გია ქვრივიშვილი) ბორის პაიჭაძის თასი მოიპოვეს. ტურნირის საუკეთესო მეკარე გახდა აკაკი გრძელიშვილი. საუკეთესო ფეხბურთელი — ნიკა მახვილაძე. 1992 წელს დაბადებულმა ფეხბურთელებმა მოიგეს ერევნის საერთაშორისო ტურნირი.

**საბა ლომინაძე**

*ბორის პაიჭაძის სახელობის თასის მფლობელი*



**ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ისტორიისა და სტატისტიკის ვერსიით XX ასწლეულის საუკეთესო ფეხბურთელები**

# „ოქროს მგზავებელი“ ტოსტაო

*(დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო“ №5-7, 9-11, 13, 2001 წ.)*

## ტაქტიკის ცვალებადობა

რამდენადაც ყველა, არც თუ უსაფუძვლოდ, ბრაზილიელებს მიიჩნევს 1958 წლიდან ტაქტიკური ცვლილების ნოვატორებად, მას განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობ. ჯერ კიდევ ოციან წლებში ევროპაში წარმოშობილმა სისტემა დუბლ-ვემ (2-3-2-3) ტრანსფორმაცია განიცადა ბრაზილიელების მიერ 1950 წელს მსოფლიო პირველობაზე — დუბლ-ვე-ემი. (3-2-2-3), როცა ცენტრალურმა მცველმა დაცვის ბოლო პოზიციაზე დაიკავა ადგილი. 1954 წელს კი, ბრაზილიელები უკვე ოთხი მცველით თამაშობდნენ. ასეთივე განლაგება შეიმჩნეოდა იმ დროის მსოფლიოს თასის ფავორიტ უნგრეთის ნაკრებში. ამით ბრაზილიის ნაკრებს ძიება არ შეუწყვეტია და ოთხი წლის შემდეგ შვეციაში, სერიოზული მოდიფიკაციით წარსდგა შეტევაში (4-2-4), ხოლო 1962 წელს უკანდახეული ზაგალო დაცვის წინა ხაზში, მესამე მოთამაშის ფუნქციას ასრულებდა. და როცა მისი გუნდი ბურთს ხელთ იგდებდა, მარცხენა ფრთაზე ერთვებოდა იერიშში. სხვა მწვრთნელები ჩვენთან ბრაზილიაში მესამე მოთამაშეს ამწესებდნენ მინდვრის შუაგულში, წინ კი, მხოლოდ ორი გარემარბი და ერთი ფორვარდი ჰყავდათ იერიშის წინა პლანზე. ასე წარმოიშვა სისტემები 4-2-4 და 4-3-3, რომლებიც დომინირებდა ყველა ცნობილ კლუბსა და ნაკრებ გუნდში 1958 წლიდან 1970 წლამდე.

60-იანი წლების მიწურულს მთელი მსოფლიოს მწვრთნელები ჩასწვდნენ იმას, რომ დაცვისა და შუა მინდვრის ხაზები, აგრეთვე თავდასხმა ერთმანეთისაგან ძალზე იზოლირებულად გამოიყურებოდა და ფეხბურთში საკალათბურთო იდეის დანერგვა წარმოიშვა: ერთიანი შეტევისა და დაცვის (ბლოკით). 1970 წელს მწვრთნელი ზაგალო, ახლა უკვე მწვრთნელი გვავალდებულებდა ბურთის დაკარგვისას მთელი გუნდი მინდვრის საკუთარ ნახევარზე დახეულიყო, წინ მარტო მე უნდა დავრჩენილიყავ. და როცა ბურთს ხელთ ვიგდებდით, უმალ შემომიერთდებოდა ჟაირზინიო, შუა მინდორში კი კლოდუალდოსა და ჟერსონს, პელესა და რიველინოს მიჰყავდათ თამაში. ეს სისტემა ქაღალდზე გამოიყურებოდა, როგორც დაცვითი, რამდენადაც კონტრიერიში ედო საფუძვლად. რეალურად კი გუნდი უფრო კომპაქტური ხდებოდა და ადვილად გადადიოდა დაცვიდან შეტევაზე.

1974 წელს პირველალმომჩენთა თაოსნები გახდნენ ჰოლანდიელები. მათი დაცვის ოთხი მოთამაშე საკუთარი კარისაგან შორს განლაგდა, მეორე ხაზს „დამტენები“ შეადგენდნენ, მომდევნოს — სამი თავდამსხმელი. ხაზებს შორის კავშირი უფრო გამყარდა, გუნდს მთელ მინდორზე პრესინგი ჰქონდა „დაწესებული“, და როცა უტევდა, მეტოქე ძრწოდა, ვერ ხვდებოდა ვინ გავიდოდა გარღვევაზე. ლიდერი კრუიფი ნიადაგ ადგილს იცვლიდა, რაშიც დიდ ტალანტს, სისწრაფესა და კომბინაციურ ნიჭს ავლენდა. მას მსოფლიოში ყველაზე გამოჩენილ ფეხბურთელად მივიჩნევ პელეს შემდეგ. რა თქმა უნდა, ასეთი თამაშით ჰოლანდიელთა დაცვაში გარდაუვალი იყო სუსტი ადგილები რომ წარმოშობილიყო, მაგრამ მას მაღალი სისწრაფით უვნებელჰყოფდნენ, მეტოქეს დიდი შანსი აღარ რჩებოდა.



*ტოსტაო*

1982 წელს ტელე სანტანამ მარტო ვარსკვლავებისაგან შეადგინა გუნდი, მაგრამ ისინი ჩვეული მანერით არ ათამაშა. ედერიც კი, აშკარა გარემარბი მინდვრისშუა orომტრიალში ერთვებოდა, სადაც არაფერი ესაქმებოდა. იქ იქმნებოდა ეგრეთწოდებული ბრაზილიური კარუსელი: ზიკო-სოკრატესი-სერეზო-ფალკაო-ედერი და ხანდახან ჟუნირიოც. წინ მარტო სერჟინიო იყო. ამ ტაქტიკას ტორსიდების გულისწყრომის მეტი რაიმე საგრძნობი უპირატესობა არ მოჰყოლია.

გუნდმა ბრწყინვალე თამაშის მიუხედავად, ნახევარფინალის მისადგომებთან უაღრესად მობილურ, მომავალ ჩემპიონ იტალიის ნაკრებთან წააგო ერთი გოლის სხვაობით. და დამკვიდრდა აზრი, — ლამაზი ფეხბურთი არარაობაა, — მთავარი შედეგია. ამან განაპირობა გეზი აეღოთ ფიზიკურ მომზადებასა და ტაქტიკურ დისციპლინაზე. ხელოვნებამ მეორე პლანზე გადაინაცვლა, თუმცა ეს ორი რამ ერთმანეთს კი არ უნდა გამორიცხავდეს, არამედ შერწყმული უნდა იყოს.

ახალი ფილოსოფიით ბრაზილიამ ორ მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატზეც — 1986 და 1990 წლებში ვერაფერით გამოიჩინა თავი და ფიასკო განიცადა.

1994 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილია წარსდგა როგორც 4-4-2. სინამდვილეში ფორმულა უფრო რთულად გამოიყურებოდა, ვინაიდან მინდორზე მკვეთრად შეიმჩნეოდა ორი ცენტრალური მცველი, ორი განაპირა, ორი შუა მინდვრის თავისუფალი მოთამაშე და ორი იერიშში დამხმარე ნახევარმცველი და ბოლოს ორად-ორი თავდამსხმელი. ამ ტაქტიკურ სისტემას მისდევდა მსოფლიო ფინალის მონაწილე გუნდების უმრავლესობა. რამეთუ გარემარბ მოთამაშეებს მცველისა და თავდამსხმელის ფუნქციების ვარირების საშუალებას აძლევდა.

ბრაზილიელებმა შემდეგ გამოიყვანეს „ქვეთავდამსხმელებად“ ეგრეთ წოდებული „დამტენი“, რომ არ გახლეჩილიყო საშუალო და წინა ხაზი.

ეს მოდიფიკაცია უფრო აგრესიულად მეჩვენებოდა, და იგი შემთხვევით არ შემოუღიათ უძლიერეს გუნდებს, მათ შორის კლუბებსაც, მაგალითად, მადრიდის „რეალს“. ზაგალომ ბრაზილიის ნაკრებშიც გამოიყენა მხოლოდ სამი მცველი, გაათავისუფლა გარე მცველები საშუალო ხაზის მოქმედების მხარდასაჭერად.

3-4-1-2. კაპელომაც სახე უცვალა ამ სქემას „რეალში“, თავისუფალი მცველი (იერო) რომ წასწია წინ, მის წინ კი შექმნა „დამტენი“ სამეული, რომელიც საჭიროებისამებრ დაცვას ეხმარებოდა.

მოგვიანებით, სულ უფრო ხშირად თამაშობდნენ ერთი თავდამსხმელით, ან სულაც წმინდაწყლის უფორვარდოდ. შეტევის სისწრაფე იკარგებოდა. ჩემი აზრით, წინ წაწეული ფორვარდი აუცილებელია სწრაფი კონტრშეტევისთვის. ადვილი შესაძლებელია, რომ მსოფლიო კვლავ დაუბრუნდეს ორ ფორვარდს. მართალია, ფეხბურთი ჭადრაკი არ არის, მაგრამ შეიძლება იყოს მინდვრის მოთამაშეთა, უამრავი ათკაციანი ვარიანტი.

ამის გამო კამათს, რომელი ტაქტიკაა უფრო სრულყოფილი, ბოლო არ ექნება.

სამი თუ ოთხი მოთამაშე შუა მინდორში? ერთი თუ ორი თავდამსხმელი? წინ წაწეული თამაში თუ მინდვრის სიღრმეში? საჭიროა თუ არა ლიბერო?... შეიძლება კითხვების სხვა სიბრტყითაც დასმა. მაგალითად, რას მივანიჭოთ უპირატესობა: დაცვას თუ იერიშს, ძალისხმიერ თუ ტექნიკურ ფეხბურთს? გუნდს თუ ვარსკვლავებს? პრაგმატიზმს თუ რომანტიზმს? სპექტაკლს თუ შედეგს?

არ არსებობს თამაშის სრულყოფილი მანერა, ყველაფერი დამოკიდებულია მოთამაშეების ხასიათზე, მოწინააღმდეგეზე, შეხვედრის ადგილსა და მომენტზე. ამდენად, კარგია ის მწვრთნელი, ვისაც ძალუძს მომენტის შესაფერისი ვარიაციების გამოყენება.

ყველაფერი კარგია, რაც ზომიერი და დროულია. იერიში შეუძლებელია თუ დაცვა არ ახლავს, გოლი უპასოდ, სისწრაფე უტალანტოდ, ტექნიკა უემოციოდ, კოლექტივი უვარსკვლავებოდ, რეალობა უოცნებოდ...

*ასე შეხვდა ბრაზილია მსოფლიო სამგზის ტრიუმფატორებს 1970 წელს*



## ლინეკერი აქებს ფილიპსს

ახლო წარსულში ინგლისის ნაკრების ცნობილი თავდამსხმელი გარი ლინეკერი ძალიან აქებს „სანდერლენდის“ ფორვარდ კევინ ფილიპსს. მისი აზრით, ამ ახალგაზრდა ფეხბურთელმა წინა ჩემპიონატთან შედარებით აშკარად გააუმჯობესა თამაში. „კევინი ისეთი თავდამსხმელია, რომელსაც შეუძლია არაფრისაგან შექმნას გოლი. ასეთი უნარი მას ყოველთვის ექნება. თუკი ადრე იგი ზედმეტად ინდივიდუალურად თამაშობდა, ახლა მატჩი ისე არ გაივლის, რომ პარტნიორებს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი არ შეუქმნას. ეს, ჩემი აზრით, იმითაც უნდა აიხსნას, რომ „სანდერლენდში“ სხვა, მაღალი კლასის მოთამაშეებიც გამოჩნდნენ.

## ადამსის ახალი პარტნიორი – სტეპანოვი

ინგლისელი კომენტატორების აზრით, ლონდონის „არსენალში“ განთქმულ ტონი ადამსთან ერთად დაცვის ცენტრში ურიგოდ არ თამაშობს ლატვიის ნაკრების წევრი იგორ სტეპანოვი, თუმცა ეს ხაზი მაინც ნაკლებად აკმაყოფილებს მწვრთნელ არსენ ვენგერს.

— დაცვის გარდა, გუნდის ფსიქოლოგიური მდგომარეობაც მაშფოთებს. ძალიან კარგად ვიწყებთ ყველა მატჩს, მაგრამ თუ მეტოქემ შეუპოვრობა გამოიჩინა, რამდენიმე ჩვენი ფეხბურთელი პასიური ხდება, ფაქტობრივად წყვეტს ბრძოლას.

## ბრიუს გლობელაარი – გაზეთი „სანი“

გრძელდება დაპირისპირება „ლივერპულის“ ყოფილ მეკარე ბრიუს გრობელაარსა და ლონდონის გაზეთ „სანს“ შორის. ჯერ იყო და გაზეთმა „სანმა“ ბრალი დასდო ზიმბაბველს ინგლისის ჩემპიონატის რამდენიმე მატჩის გაყიდვაში. მაშინ მეკარემ „სანს“ სასამართლოში უჩივლა და გაიმარჯვა. სასამართლომ რედაქცია დაავალდებულა გრობელაარისათვის ცილისწამებას კომპენსაციის სახით 85 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაეხადა. „სანის“ იურისტებმა წარადგინეს აპელაცია, რომლის განხილვის შედეგად გამოირკვა, რომ გრობელაარს არავითარი კომპენსაცია არ ერგება. პირიქით, მან თვით უნდა დაფაროს სასამართლოს ხარჯები. „მისტერ გრობელაარის განმარტებები ძალზე დაუჯერებელია, — განაცხადა ერთ-ერთმა მოსამართლემ, — ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ გაზეთ „სანის“ ცნობები სინამდვილეს შეესაბამება“.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას უნდა გრობელაარის სამუდამო დისკვალიფიკაცია მოითხოვოს და საქმე ფიფას გადასცეს. ახლა გრობელაარი სამხრეთაფრიკულ „სუპერსპორტ იუნაიტედს“ წვრთნის.

## „ჩილავერტი არ გვჭირდება“

არგენტინის ჩემპიონ „ბოკა ხუნიორსის“ წარმომადგენელმა გადაჭრით უარყო ხმები იმის შესახებ, რომ თითქოს განთქმული პარაგვაელი მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი „სტრასბურიდან“ მათ კლუბში გადადის.

— ჩვენ ჩილავერტი არ გვჭირდება.

## ასეთი მწვრთნელები „ბაიერს“ სიკეთეს მოუტანენ

როგორც ცნობილი გახდა, ლევერკუზენის „ბაიერის“ მთავრ მწვრთნელ ბერტი ფოგტსს ახლა სამი ასისტენტი ჰყავს. ესენია მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონი პიერ ლიტბარსკი, რომელმაც სამშობლოში დაბრუნებისათვის გაწყვიტა კონტრაქტი იაპონურ „იოკოჰამასთან“, ახლო წარსულში განთქმული მეკარე ტონი შუმახერი (კიოლნის „ფორტუნას“ მწვრთნელად მუშაობდა, თუმცა გაათავისუფლეს დაბალი შედეგების გამო) და ვოლფგანგ როლფი.

როგორც ლიტბარსკიმ განაცხადა, მისი მთავარი ამოცანაა ფეხბურთელების ტექნიკის ამაღლება, რაშიც გერმანული კლუბები, ტრადიციულად, მოიკოჭლებენ ხოლმე.

## 10 მარტს იწყებენ

რუსეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის გადაწყვეტილებით, ქვეყნის ჩემპიონატი (უმაღლესი დივიზიონი) 16 კლუბის მონაწილეობით დაიწყება 10 მარტს, ხოლო პირველი დივიზიონის 20 კლუბი ბრძოლაში 1 აპრილიდან ჩაებმება.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

## ესპანეთი
### პრიმერადივიზიონი. XXIII ტური

| | |
|---|---|
| რეალი – რასინგი | 1-0 |
| ბარსელონა – დეპორტივო | 2-3 |
| ლას პალმასი – ვალენსია | 0-2 |
| სოსიედადი – ესპანიოლი | 2-1 |
| სელტა – რაიო ვალეკანო | 1-1 |
| ოსასუნა – ალავესი | 0-1 |
| სარაგოსა – ოვიედო | 5-2 |
| ვილიარეალი – ვალიადოლ. | 2-1 |
| ნუმანსია – მალაგა | 3-2 |
| მალიორკა – ბილბაო | 1-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 23 | 16 | 3 | 4 | 52-25 | 51 |
| დეპორტივო | 23 | 14 | 5 | 4 | 45-24 | 47 |
| ვალენსია | 23 | 12 | 6 | 5 | 36-16 | 42 |
| ბარსელონა | 23 | 12 | 4 | 7 | 48-34 | 40 |
| ვილიარეალი | 23 | 11 | 5 | 7 | 31-24 | 38 |
| მალიორკა | 23 | 10 | 8 | 5 | 32-29 | 38 |
| რაიო | 23 | 8 | 9 | 6 | 42-37 | 33 |
| ალავესი | 23 | 10 | 3 | 10 | 32-29 | 33 |
| ლას-პალმასი | 23 | 9 | 4 | 10 | 24-39 | 31 |
| სარაგოსა | 23 | 7 | 9 | 7 | 35-32 | 30 |
| ესპანიოლი | 23 | 9 | 3 | 11 | 30-27 | 30 |
| ბილბაო | 23 | 8 | 6 | 9 | 30-35 | 30 |
| ვალიადოლ. | 23 | 6 | 11 | 6 | 26-27 | 29 |
| მალაგა | 23 | 8 | 4 | 11 | 35-37 | 28 |
| სელტა | 23 | 7 | 7 | 9 | 27-33 | 28 |
| ოვიედო | 23 | 8 | 3 | 12 | 29-42 | 27 |
| ნუმანსია | 23 | 6 | 5 | 12 | 23-38 | 23 |
| სოსიედადი | 23 | 5 | 6 | 12 | 26-47 | 21 |
| რასინგი | 23 | 4 | 5 | 14 | 26-40 | 17 |
| ოსასუნა | 23 | 3 | 8 | 12 | 22-36 | 17 |

## შვეიცარია
### თასის მე-5 ეტაპი

| | |
|---|---|
| ვანგენი – ქსამაქსი | 2-1 |
| თუნი – ლუცერნი | 3-0 |
| ვილი – სტ. გალენი | 1-3 |
| ვინტერთური – ლუგანო | 1-0 |
| ლოკარნო – ციურიხი | 0-4 |
| კარუჟი – ბაზელი | 1-1 |

## შოტლანდია
### თასის მე-4 ეტაპი

| | |
|---|---|
| დანფერმლაინი – სელტიკი 2-2 (იქნება გადათამაშება) | |
| ჰართსი – დანდი (იქნება გადათამაშება) | 1-1 |
| აირდრი – პეტერჰედი | (გადაიდო) |
| ინვერნესი – კილმარნოკი (იქნება გადათამაშება) | 1-1 |
| ლივინგსტონი – აბერდინი (იქნება გადათამაშება) | 0-0 |
| მოზერუელი – დანდი იუნ. | 0-2 |
| სტირლინგი – ჰიბერნიანი | 2-3 |
| როსი – რეინჯერსი | 2-3 |

## თურქეთი
### XXI ტური

| | |
|---|---|
| ისთანბული – გაზიანთეფი | 0-1 |
| იეთფა – ფენერბახჩე | 0-4 |
| დენიზლი – ანთალია | 1-1 |
| ქაჯოელი – ტრაბზონი | 3-2 |
| სამსუნი – გალათასარაი | 1-1 |
| გენჩლებირლინგი – ანკარა | 3-4 |
| ბურსა – ერზრუმი | 6-0 |
| რიზე – იოზგათი | 1-0 |
| ბეშიქთაში – ადანა | 2-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბახჩე | 21 | 15 | 3 | 3 | 54-23 | 48 |
| გალათასარაი | 21 | 14 | 4 | 3 | 45-17 | 46 |
| ბეშიქთაში | 21 | 13 | 4 | 4 | 45-33 | 43 |
| გაზიანთეფი | 21 | 11 | 7 | 3 | 42-25 | 40 |
| ტრაბზონი | 21 | 10 | 5 | 6 | 43-32 | 35 |
| გენჩლებირლ. | 21 | 10 | 3 | 8 | 30-30 | 33 |
| სამსუნი | 21 | 8 | 6 | 7 | 34-31 | 30 |
| დენიზლი | 21 | 7 | 8 | 6 | 28-32 | 29 |
| ანკარა | 21 | 7 | 8 | 6 | 31-36 | 29 |
| რიზე | 21 | 8 | 4 | 9 | 28-22 | 28 |
| ისთანბული | 21 | 7 | 6 | 8 | 27-29 | 27 |
| იოზგათი | 21 | 6 | 7 | 8 | 27-26 | 25 |
| ანთალია | 21 | 6 | 7 | 8 | 29-35 | 25 |
| ბურსა | 21 | 5 | 6 | 10 | 32-41 | 21 |
| ქაჯოელი | 21 | 3 | 8 | 10 | 25-39 | 17 |
| ადანა | 21 | 2 | 8 | 11 | 30-43 | 14 |
| ერზრუმი | 21 | 3 | 4 | 14 | 23-55 | 13 |
| იეთფა | 21 | 2 | 6 | 13 | 23-47 | 12 |



## იტალია
### სერია A. XIX ტური

| | |
|---|---|
| უდინეზე – ვერონა | 2-1 |
| მილანი – ბოლონია | 3-3 |
| ატალანტა – ვიჩენცა | 1-1 |
| ბარი – იუვენტუსი | 0-1 |
| პარმა – ბრეშა | 3-0 |
| პერუჯა – ლაციო | 0-1 |
| რეჯინა – ფიორენტინა | 1-1 |
| რომა – ლეჩე | 1-0 |
| ნაპოლი – ინტერი | 1-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 19 | 14 | 3 | 2 | 36-14 | 45 |
| იუვენტუსი | 19 | 11 | 6 | 2 | 33-15 | 39 |
| ლაციო | 19 | 11 | 4 | 4 | 34-20 | 37 |
| ატალანტა | 19 | 8 | 7 | 4 | 23-16 | 31 |
| პარმა | 19 | 8 | 5 | 6 | 24-18 | 29 |
| უდინეზე | 19 | 9 | 1 | 9 | 33-31 | 28 |
| მილანი | 19 | 7 | 7 | 5 | 30-29 | 28 |
| ფიორენტინა | 19 | 6 | 8 | 5 | 31-26 | 26 |
| პერუჯა | 19 | 7 | 5 | 7 | 25-23 | 26 |
| ინტერი | 19 | 6 | 7 | 6 | 21-21 | 25 |
| ბოლონია | 19 | 7 | 4 | 8 | 23-25 | 25 |
| ლეჩე | 19 | 5 | 7 | 7 | 23-30 | 22 |
| ბრეშა | 19 | 4 | 8 | 7 | 22-26 | 20 |
| ნაპოლი | 19 | 5 | 5 | 9 | 21-30 | 20 |
| ვიჩენცა | 19 | 5 | 5 | 9 | 20-30 | 20 |
| ვერონა | 19 | 4 | 6 | 9 | 22-33 | 18 |
| რეჯინა | 19 | 4 | 3 | 12 | 14-32 | 15 |
| ბარი | 19 | 3 | 3 | 13 | 16-32 | 12 |

## პორტუგალია
### I ლიგა. XXI ტური

| | |
|---|---|
| ამადორა – ბენფიკა | 1-2 |
| ბრაგა – ბოავიშტა | 1-0 |
| ალვერკა – სპორტინგი | 3-1 |
| ავეში – მარიტიმუ | 1-1 |
| ლეირია – ბელენენსეში | 1-1 |
| ბეირა მარი – ფერეირა | 1-0 |
| სალგეირუში – ფარენსე | 0-0 |
| ჟილ ვისენტე – გიმარაეში | 4-1 |
| პორტუ – კამპომაიორენსე | 3-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 21 | 13 | 6 | 2 | 39-13 | 45 |
| ბენფიკა | 21 | 13 | 4 | 4 | 39-21 | 43 |
| პორტუ | 21 | 13 | 2 | 6 | 40-18 | 41 |
| ბრაგა | 21 | 11 | 7 | 3 | 33-22 | 40 |
| სპორტინგი | 21 | 12 | 3 | 6 | 35-23 | 39 |
| ბელენენსეში | 21 | 10 | 6 | 5 | 27-16 | 36 |
| ფერეირა | 21 | 8 | 7 | 6 | 26-18 | 31 |
| სალგეირუში | 21 | 9 | 3 | 9 | 21-29 | 30 |
| ფარენსე | 21 | 7 | 8 | 6 | 25-26 | 29 |
| მარიტიმუ | 21 | 7 | 6 | 8 | 21-21 | 27 |
| ლეირია | 21 | 6 | 9 | 6 | 23-30 | 27 |
| ბეირა მარი | 21 | 7 | 5 | 9 | 23-30 | 26 |
| ალვერკა | 21 | 7 | 4 | 10 | 29-34 | 25 |
| გიმარაეში | 21 | 4 | 7 | 10 | 24-36 | 19 |
| კამპომაიორ. | 21 | 3 | 9 | 9 | 16-33 | 18 |
| ჟილ ვისენტე | 21 | 4 | 5 | 12 | 17-28 | 17 |
| ავეში | 21 | 2 | 7 | 12 | 19-40 | 13 |
| ამადორა | 21 | 2 | 4 | 15 | 16-35 | 10 |

## ინგლისი
### თასის 1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| სანდერლენდი – ვესტ ჰემი | 0-1 |
| ბოლტონი – ბლეკბერნი (იქნება გადათამაშება) | 1-1 |
| ლესტერი – ბრისტოლი | 3-0 |
| საუთჰემპტონი – ტრანმერი (იქნება გადათამაშება) | 0-0 |
| ტოტენჰემი – სტოკპორტი | 4-0 |
| უიკომბი – უიმბლდონი (იქნება გადათამაშება) | 2-2 |
| არსენალი – ჩელსი | 3-1 |
| ლივერპული – მანჩ.სიტი | 4-2 |

## ბელგია
### I დივიზიონი. XXIII ტური

| | |
|---|---|
| ვესტერლო – მუსკრონი | 1-0 |
| მეხელენი – ლუვიე | 0-0 |
| ანტვერპენი – ლიერსი | 0-0 |
| შარლერუა – გენკი | 2-1 |
| ბევერენი – გენტი | 1-1 |
| სტ. ტრუიდენი – ლოკერენი | 2-0 |
| აალსტი – სტანდარდი | 1-1 |
| ბრიუგე – ბეერსხოტი | 2-2 |
| ჰარელბეკე – ანდერლეხტი | 1-4 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 22 | 19 | 3 | 0 | 66-17 | 60 |
| ბრიუგე | 22 | 16 | 5 | 1 | 63-18 | 53 |
| სტანდარდი | 23 | 12 | 7 | 4 | 54-26 | 43 |
| გენტი | 22 | 12 | 6 | 4 | 43-31 | 42 |
| ვესტერლო | 22 | 12 | 4 | 6 | 42-31 | 40 |
| მუსკრონი | 23 | 11 | 4 | 8 | 45-31 | 37 |
| ბეერსხოტი | 23 | 11 | 3 | 9 | 42-34 | 36 |
| შარლერუა | 23 | 11 | 3 | 9 | 38-41 | 36 |
| ლიერსი | 23 | 10 | 5 | 8 | 35-29 | 35 |
| ლოკერენი | 23 | 9 | 7 | 7 | 34-32 | 34 |
| ბევერენი | 23 | 8 | 6 | 9 | 22-41 | 30 |
| გენკი | 23 | 7 | 6 | 10 | 28-34 | 27 |
| ანტვერპენი | 23 | 7 | 3 | 13 | 25-34 | 24 |
| აალსტი | 23 | 5 | 5 | 13 | 23-49 | 20 |
| სტ. ტრუიდ. | 23 | 4 | 4 | 15 | 22-41 | 16 |
| ჰარელბეკე | 23 | 5 | 1 | 17 | 28-66 | 16 |
| მეხელენი | 23 | 2 | 6 | 15 | 27-53 | 12 |
| ლუვიე | 23 | 1 | 8 | 14 | 15-44 | 11 |

## ჰოლანდია
### I დივიზიონი

| | |
|---|---|
| სიტარდი – აიაქსი | 0-3 |
| როზენდალი – ალკმაარი | 2-3 |
| ჰერენვენი – როდა | 0-0 |
| გრონინგენი – ტვენტე | 2-0 |
| უტრეხტი – გრააფსხაპი | 3-1 |
| სპარტა – ვალვაიკი | 2-2 |
| ბრედა – პსვ | 1-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 22 | 16 | 5 | 1 | 47-13 | 53 |
| ფეიენოორდი | 21 | 17 | 1 | 3 | 47-17 | 52 |
| აიაქსი | 21 | 12 | 4 | 5 | 52-26 | 40 |
| ვიტესი | 21 | 11 | 5 | 5 | 40-34 | 38 |
| როდა | 21 | 10 | 4 | 7 | 37-27 | 34 |
| ვალვაიკი | 21 | 9 | 7 | 5 | 27-18 | 34 |
| ტილბურგი | 21 | 8 | 7 | 6 | 33-27 | 31 |
| უტრეხტი | 20 | 9 | 4 | 7 | 38-32 | 31 |
| ნაიმეგენი | 21 | 6 | 11 | 4 | 29-25 | 29 |
| ბრედა | 20 | 8 | 3 | 9 | 29-34 | 27 |
| ალკმაარი | 21 | 7 | 5 | 9 | 31-40 | 26 |
| გრონინგენი | 21 | 7 | 4 | 10 | 27-33 | 25 |
| ტვენტე | 20 | 6 | 6 | 8 | 31-36 | 24 |
| ჰერენვენი | 20 | 5 | 8 | 7 | 21-28 | 23 |
| გრააფსხაპი | 22 | 5 | 2 | 15 | 28-45 | 17 |
| სპარტა | 22 | 3 | 5 | 14 | 27-46 | 14 |
| როზენდალი | 22 | 4 | 1 | 17 | 29-61 | 13 |
| სიტარდი | 21 | 2 | 6 | 13 | 14-45 | 12 |

## ჩეხეთი
### XVII ტური

| | |
|---|---|
| ტეპლიცე – პრჟიბრამი | 1-2 |
| ბოჰემიანსი – ბუდეიოვიცე | 4-3 |
| სინოტი – დრნოვიცე | 1-2 |
| სიგმა – ბლშანი | 3-0 |
| ბანიკი – ჟიჟკოვი | 2-0 |
| ლიბერეცი – იაბლონეცი | 3-1 |
| პლზენი – სლავია | 1-3 |
| სპარტა – ბრნო | გვიან დასრულდა |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 16 | 13 | 1 | 2 | 42-14 | 40 |
| სიგმა | 17 | 8 | 6 | 3 | 31-17 | 30 |
| პრჟიბრამი | 17 | 8 | 4 | 5 | 26-19 | 28 |
| ტეპლიცე | 16 | 8 | 3 | 5 | 28-18 | 27 |
| ლიბერეცი | 17 | 8 | 3 | 6 | 27-23 | 27 |
| ჟიჟკოვი | 17 | 7 | 5 | 5 | 27-26 | 26 |
| სინოტი | 17 | 6 | 7 | 4 | 25-20 | 25 |
| სლავია | 16 | 6 | 6 | 4 | 22-19 | 24 |
| ბოჰემიანსი | 17 | 5 | 7 | 5 | 24-23 | 22 |
| დრნოვიცე | 17 | 5 | 5 | 7 | 16-20 | 20 |
| იაბლონეცი | 17 | 4 | 7 | 6 | 16-24 | 19 |
| ბრნო | 16 | 5 | 2 | 9 | 16-21 | 17 |
| ბლშანი | 17 | 4 | 5 | 8 | 16-22 | 17 |
| ბანიკი | 17 | 3 | 7 | 7 | 16-30 | 16 |
| ბუდეიოვიცე | 17 | 3 | 6 | 8 | 22-35 | 15 |
| პლზენი | 17 | 1 | 6 | 10 | 14-37 | 9 |



კოტბუსი – ფრაიბურგი 0-2. ლევან ცქიტიშვილისა (მარცხნივ) და ანჟეი კობილიანსკის ორთაბრძოლა

## საფრანგეთი
### I დივიზიონი. XXVII ტური

| | |
|---|---|
| მარსელი – პსჟ | 1-0 |
| მონაკო – ბასტია | 2-1 |
| გენგამი – ლილი | 0-1 |
| ტულუზი – ლიონი | 1-1 |
| ტრუა – მეცი | 3-2 |
| ლანსი – რენი | 1-2 |
| სტ. ეტიენი – სედანი | 0-2 |
| ნანტი – სტრასბური | 1-0 |
| ბორდო – ოსერი | 1-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 27 | 13 | 8 | 6 | 32-19 | 47 |
| ნანტი | 27 | 14 | 5 | 8 | 43-33 | 47 |
| ბორდო | 27 | 12 | 10 | 5 | 37-23 | 46 |
| სედანი | 27 | 13 | 7 | 7 | 36-25 | 46 |
| ლიონი | 27 | 10 | 13 | 4 | 37-24 | 43 |
| რენი | 27 | 11 | 6 | 10 | 32-25 | 39 |
| ბასტია | 27 | 11 | 5 | 9 | 33-30 | 38 |
| გენგამი | 27 | 10 | 8 | 9 | 32-32 | 38 |
| ტრუა | 27 | 10 | 8 | 9 | 34-36 | 38 |
| ოსერი | 27 | 10 | 7 | 10 | 29-31 | 37 |
| მონაკო | 27 | 10 | 5 | 12 | 41-38 | 35 |
| პსჟ | 27 | 9 | 6 | 12 | 33-37 | 33 |
| ლანსი | 27 | 8 | 8 | 11 | 28-29 | 32 |
| მარსელი | 27 | 9 | 5 | 13 | 26-33 | 32 |
| ტულუზა* | 27 | 5 | 10 | 12 | 26-36 | 29 |
| მეცი | 26 | 6 | 9 | 11 | 24-38 | 27 |
| სტ.ეტიენი** | 27 | 8 | 7 | 12 | 35-43 | 25 |
| სტრასბური | 26 | 5 | 7 | 14 | 24-50 | 22 |

*ტულუზას მომატებული აქვს 3 ქულა,
**სტ. ეტიენს დაკლებული აქვს 6 ქულა.

## საბერძნეთი
### XIX ტური

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი – ოფი | 2-0 |
| პაოკი – არისი | 2-0 |
| აეკ – იონიკოსი | 2-0 |
| იანინა – ირაკლისი | 3-2 |
| პანაჰაიკი – ეთნიკოსი | 1-0 |
| ოლიმპიაკოსი – პანილიაკ. | 2-0 |
| ქსანთი – პანიონისი | 3-1 |
| კალამატა – ათინაიკოსი | 2-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 19 | 16 | 2 | 1 | 58-14 | 50 |
| პანათინაიკ. | 19 | 12 | 5 | 2 | 32-10 | 41 |
| აეკი | 19 | 12 | 3 | 4 | 38-24 | 39 |
| პაოკი | 19 | 10 | 6 | 3 | 43-29 | 36 |
| ირაკლისი | 19 | 10 | 3 | 6 | 29-21 | 33 |
| იონიკოსი | 19 | 8 | 6 | 5 | 28-25 | 30 |
| არისი | 19 | 8 | 4 | 7 | 21-21 | 28 |
| ქსანთი | 19 | 8 | 4 | 7 | 14-17 | 28 |
| პანიონისი | 19 | 4 | 9 | 6 | 19-24 | 21 |
| ეთნიკოსი | 19 | 6 | 3 | 10 | 20-35 | 21 |
| პანაჰაიკი | 19 | 4 | 5 | 10 | 22-32 | 17 |
| იანინა | 19 | 4 | 5 | 10 | 26-37 | 17 |
| პანილიაკოსი | 19 | 3 | 7 | 9 | 15-28 | 16 |
| ათინაიკოსი | 19 | 4 | 4 | 11 | 27-40 | 16 |
| ოფი | 19 | 2 | 6 | 11 | 19-37 | 12 |
| კალამატა | 19 | 1 | 8 | 10 | 23-40 | 11 |

## გერმანია
### ბუნდესლიგა. XXII ტური

| | |
|---|---|
| მიუნჰენი 1860 – აინტრახტი | 2-2 |
| უნტერჰახინგი – ბაიერნი | 1-0 |
| ჰანზა – ლევერკუზენი | 2-1 |
| კოტბუსი – ფრაიბურგი | 0-2 |
| ვერდერი – შალკე | 2-1 |
| ვოლფსბურგი – ბოხუმი | 0-0 |
| დორტმუნდი – ჰამბურგი | 4-2 |
| კიოლნი – კაიზერი | 0-1 |
| შტუტგარტი – ჰერტა | 0-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 22 | 13 | 3 | 6 | 44-24 | 42 |
| შალკე | 22 | 12 | 4 | 6 | 43-25 | 40 |
| ლევერკუზ. | 22 | 12 | 4 | 6 | 39-25 | 40 |
| დორტმუნდი | 22 | 12 | 4 | 6 | 35-28 | 40 |
| ჰერტა | 22 | 12 | 1 | 9 | 44-39 | 37 |
| კაიზერი | 22 | 11 | 4 | 7 | 32-29 | 37 |
| ფრაიბურგი | 22 | 9 | 7 | 6 | 30-21 | 34 |
| ვოლფსბურგი | 22 | 8 | 8 | 6 | 40-28 | 32 |
| ვერდერი | 22 | 8 | 7 | 7 | 30-31 | 31 |
| კიოლნი | 22 | 8 | 5 | 9 | 39-36 | 29 |
| მიუნხენი | 22 | 7 | 7 | 8 | 27-37 | 28 |
| აინტრახტი | 22 | 8 | 3 | 11 | 28-38 | 27 |
| ჰანზა | 22 | 7 | 4 | 11 | 21-34 | 25 |
| ჰამბურგი | 22 | 7 | 3 | 12 | 42-43 | 24 |
| უნტერჰახ. | 22 | 6 | 6 | 10 | 21-35 | 24 |
| კოტბუსი | 22 | 7 | 2 | 13 | 26-38 | 23 |
| შტუტგარტი | 22 | 5 | 6 | 11 | 31-37 | 21 |
| ბოხუმი | 22 | 5 | 4 | 13 | 19-43 | 19 |

## მუნდიალი-2002
### კონკაკაფის ზონა
### ფინალური რაუნდი

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

| | |
|---|---|
| 27.02 | კოსტა-რიკა – ჰონდურასი |
| 27.02 | იამაიკა – ტრინიდადი |
| 28.02 | აშშ – მექსიკა |
| 24.03 | კოსტა-რიკა – ტრინიდადი |
| 25.03 | მექსიკა – იამაიკა |
| 28.03 | ჰონდურასი – აშშ |
| 25.04 | იამაიკა – ჰონდურასი |
| 25.04 | აშშ – კოსტა-რიკა |
| 25.04 | ტრინიდადი – მექსიკა |
| 16.06 | ტრინიდადი – ჰონდურასი |
| 16.06 | მექსიკა – კოსტა-რიკა |
| 17.06 | იამაიკა – აშშ |
| 19.06 | ჰონდურასი – მექსიკა |
| 20.06 | კოსტა-რიკა – იამაიკა |
| 20.06 | აშშ – ტრინიდადი |
| 30.06 | მექსიკა – აშშ |
| 30.06 | ჰონდურასი – კოსტა-რიკა |
| 04.07 | ტრინიდადი – იამაიკა |
| 01.09 | აშშ – ჰონდურასი |
| 01.09 | იამაიკა – მექსიკა |
| 02.09 | ტრინიდადი – კოსტა-რიკა |
| 04.09 | კოსტა-რიკა – აშშ |
| 04.09 | ჰონდურასი – იამაიკა |
| 05.09 | მექსიკა – ტრინიდადი |
| 06.10 | აშშ – იამაიკა |
| 06.10 | ჰონდურასი – ტრინიდადი |
| 07.10 | კოსტა-რიკა – მექსიკა |
| 10.11 | ტრინიდადი – აშშ |
| 10.11 | იამაიკა – კოსტა-რიკა |
| 11.11 | მექსიკა – ჰონდურასი |

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

● **უზბეკეთის** ნაკრები გამალებით ემზადება 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის. მისი მიზნები ძალიან სერიოზულია. ჯერ ერთი, ნაკრების სათავეში მოიწვიეს რუსი მწვრთნელი სალკოვი, მერე – უზბეკეთის ფეხბურთის ფედერაციის ემისრები ბულგარეთს ჩაფრინდნენ და იქაურ უძლიერეს ფეხბურთელებს დაადგეს თვალი. იტყობინებიან, რომ მათ დაითანხმეს ნაკრებში სათამაშოდ ბულგარეთის საუკეთესო ბომბარდირი გეორგი გეორგიევი და მისი თანაგუნდელი „ლევსკის" კლუბის მცველი ალექსეი დიონისიევი. ისინი უზბეკეთის მოქალაქეობას მიიღებენ და, ალბათ, თავს არ დაზოგავენ, რათა შუააზიელებს დაეხმარონ იაპონია-კორეის საგზურის მოპოვებაში.

● **შარშან,** სექტემბერში, ლონდონის მთავარ სააუქციონო სახლ „კრისტიში" ერთი ამბავი ატყდა, როდესაც 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონმა ჯეფ ჰერსტმა გასაყიდად გამოიტანა მაშინდელი მუნდიალის ფინალური მატჩის მაისური. მასში მფლობელმა 133 ათასი დოლარი მიიღო. ინგლისური პრესა სინანულით წერდა – ნუთუ არ გამოჩნდა ვინმე ბიზნესმენი, რომელიც გაჭირვებაში მყოფ ვეტერანს დაეხმარებოდა და ხელს აალებინებდა თავის განზრახვაზეო.

ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ ჰერსტის ნაკვალევს მისი თანაგუნდელი, სახელგანთქმული მეკარე გორდონ ბენქსიც გაჰყვა. იგი აპირებს აუქციონზე გაიტანოს 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედალი (მისი ფასი 100-130 ათას დოლარის ფარგლებში მერყეობს), თავისი მაისური, ორი კეპი და სამახსოვრო ავტოგრაფებიანი ბურთები.

● **ინგლისის** პრემიერ-ლიგის უიმედო აუტსაიდერების – ბრედფორდელი „მამლების" კლუბის პრეზიდენტი ჯეფრი რიჩმონდი, მიუხედავად გულშემატკივრების მოთხოვნისა, არ აპირებს გუნდის გაძლიერებას. მისი თქმით, უაზრობაა ახალი ფეხბურთელების შეძენა: „სახიფათო ზონიდან თავის დაღწევას ახლა 6-7 გუნდი ცდილობს, თითოეულმა 50 მილიონი გირვანქა სტერლინგიც რომ დახარჯოს, სამი უიღბლო მაინც დატოვებს პრემიერლიგას, მათ შორის აუცილებლად მოხვდება „ბრედფორდი", ეს უკვე ფაქტია". შეგახსენებთ, შარშან „მამლები" სასწაულად გადაურჩნენ დაბალ დივიზიონში ჩამოქვეითებას, როდესაც ბოლო ტურში დაამარცხეს „ლივერპული".

## შესარჩევი ტურნირი
### აზია

**17 თებერვალი**

**ვიეტნამი – მონღოლეთი 4-0,**
**საუდეთი – ბანგლადეში 6-0**

მეათე ჯგუფიდან მეორე შესარჩევ რაუნდში თამაშის უფლება საუდის არაბეთმა გაინაღდა. 19 თებერვალს ჩასატარებელი მატჩები: ბანგლადეში – მონღოლეთი და ვიეტნამი – საუდის არაბეთი ფორმალობად იქცა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ს. არაბეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 20-0 | 12 |
| ვიეტნამი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-5 | 7 |
| ბანგლადეში | 4 | 1 | 1 | 2 | 3-7 | 4 |
| მონღოლეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 0-16 | 0 |

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ჩემპიონთა ლიგა II ეტაპი

**A ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| ვალენსია | 3 | 1 | 2 | 0 | 2-0 | 5 |
| შტურმი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| პანათინაიკ. | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |

20.02 პანათინაიკოსი – შტურმი
20.02 მანჩესტერი – ვალენსია
07.03 შტურმი – ვალენსია
07.03 პანათინაიკ. – მანჩესტერი
13.03 მანჩესტერი – შტურმი
13.03 ვალენსია – პანათინაიკოსი

**B ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| მილანი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| დეპორტივო | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 3 |
| პსჟ | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |

20.02 დეპორტივო – გალათასარაი
20.02 პსჟ – მილანი
07.03 გალათასარაი – მილანი
07.03 დეპორტივო – პსჟ
13.03 პსჟ – გალათასარაი
13.03 მილანი – დეპორტივო

**C ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| არსენალი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-6 | 4 |
| ლიონი | 3 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| სპარტაკი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |

21.02 არსენალი – ლიონი
21.02 სპარტაკი – ბაიერნი
06.03 ლიონი – ბაიერნი
06.03 არსენალი – სპარტაკი
14.03 ბაიერნი – არსენალი
14.03 სპარტაკი – ლიონი

**D ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 9-4 | 9 |
| ლიდსი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-3 | 6 |
| ანდერლეხტი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| ლაციო | 3 | 0 | 0 | 3 | 2-5 | 0 |

21.02 ლაციო – რეალი
21.02 ანდერლეხტი – ლიდსი
06.03 რეალი – ლიდსი
06.03 ლაციო – ანდერლეხტი
14.03 ლიდსი – ლაციო
14.03 ანდერლეხტი – რეალი

## მოკლედ...

● **მადრიდის** სამეფო კლუბის მცველის ივან ელგერას გადაბირებას მრავალი კლუბი ცდილობს. ყველაზე ძალიან „რეალის“ მთავარი მეტოქე – „ბარსელონა“ აქტიურობს. ეს ამბავი ჟურნალისტებს თავად ფეხბურთელმა აუწყა: „კატალონიელები დამიკავშირდნენ და მკითხეს რამდენი თანხა მჭირდება სრული ბედნიერებისათვის. მე ვუპასუხე, რომ „რეალიდან“ წასვლას არ ვგეგმავ“.

ელგერასთან დაკავშირებით საინტერესო პოზიცია დაიკავა სამეფო კლუბის ხელმძღვანელობამ. „რეალის“ დირექტორმა ხორხე ვალდანომ განაცხადა, რომ ეს ფეხბურთელი არ იყიდება. იმ მიზნით, რომ მყიდველი კლუბები დაეფრთხო, მადრიდელებმა ელგერას არარეალურად მაღალი ფასი დაადეს – 45 მილიონი დოლარი! მართალია, ეს ლუიშ ფიგუსა და ერნან კრესპოს სატრანსფერო თანხებს ჩამოუვარდება, მაგრამ, ნუ დავივიწყებთ, რომ ისინი თავდამსხმელები არიან, 45 მილიონს კი მცველში ვინ გადაიხდის! იტყობინებიან, რომ „ბარსელონას“ გარდა, ტურინის „იუვენტუსსაც“ სურს ელგერას გადაბირება.

● **პარაგვაელმა** რობერტო აკუნიამ, რომელიც ესპანეთის „სარაგოსას“ ღირსებას იცავს, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მოწვევა მიიღო. ესპანური კლუბი თანახმაა აკუნია 16 მილიონ დოლარად გაყიდოს.

● **გერმანული** საფეხბურთო გაზეთის „კიკერის“ ცნობით, მიუნხენის „ბაიერნის“ კლუბის პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი და მთავარი მწვრთნელი ოტმარ ჰიტცფელდი დაინტერესებული არიან შეიძინონ მოსკოვის „სპარტაკის“ ნახევარმცველი ეგორ ტიტოვი. ეს ფეხბურთელი გერმანელ სპეციალისტებს ეფენბერგის შემცვლელად ესახებათ. ამიტომ ისინი მზად არიან რუს მოთამაშეში 25 მილიონი დოლარი გადაიხადონ.

● **ორი** პოლიციელი დაშავდა აფეთქების შედეგად იტალიის ჩემპიონატის „ატალანტასა“ და „ვიჩენცას“ შეხვედრის დროს. წესრიგის დამცველები საფეხბურთო მინდორს იცავდნენ ფანატებისგან და სწორედ ამ დროს მათ წინ აფეთქდა ტრიბუნებიდან ნასროლი მაშხალა. ერთ პოლიციელს ხელი დაუზიანდა, მეორეს – ფეხი.

## ტრაპატონი: ფეხბურთი საგრძნობლად შეიცვლება

**გაზეთ „ნუოვო კალჩიოს“ („ახალი ფეხბურთი“) კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ ჯოვანი ტრაპატონის.**

● ***როგორი იქნება XXI საუკუნის ფეხბურთი?***

– უფრო სწრაფი და მეტი სტრესის გამომწვევი, ამასთან, „სატელევიზიო“ და დაძაბული. მაგრამ, რაც არ უნდა მოხდეს, ფეხბურთი ვერ აჯობებს... ადამიანს. ის ვერ დათრგუნავს ფეხბურთელის საჩემპიონო ხასიათს, მის უნარს და სათამაშო ფანტაზიას. პლატინისა ან ბატისტუტას მსგავსი ფეხბურთელები ყოველთვის შეძლებენ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას, გადამწყვეტ გავლენას მოახდენენ თამაშის შედეგზე.

● ***რას ნიშნავს სიტყვები „უფრო სწრაფი და მეტი სტრესის გამომწვევი“?***

– საქმე იქითკენ მიდის, რომ თამაში უფრო სწრაფი გახდება, შემცირდება დრო, რომელსაც მეტოქის მოტყუებას ანდომებენ. დიდი სტრესი კი იმის ნიშნავს, რომ უკანდასახევი გზა მოჭრილი გვაქვს. აუცილებელია ევროპის ახალი საკლუბო ჩემპიონატის შექმნა, აქ არა აქვს მნიშვნელობა, როგორი იქნება მისი სახელი და ჩატარების ფორმულა. ბოლოს საქმე იქამდე მივა, რომ წელიწადში ცხრა თვის განმავლობაში აუცილებელი გახდება კვირაში სამი მატჩის გამართვა, ეროვნულ ჩემპიონატსა და ევროპის რომელიმე საკლუბო ტურნირში. გარდა ამისა, კალენდარი ხომ ეროვნული ნაკრებების მატჩებსაც ითვალისწინებს. ნამდვილი ფანტაზიაა ფიქრი იმაზე, რომ მომავალში ტელევიზია უკან



ჯოვანი ტრაპატონი

დაიხევს და ნაკლები რაოდენობის მატჩებს გადასცემს. ამიტომ ფეხბურთელებზე ზეწოლა გაგრძელდება, მათი მდგომარეობა რთულდება, ერთმანეთი უნდა შეცვალონ. თუნდაც იმიტომ, რომ წელიწადში 50 მატჩის თამაში უმაღლეს დონეზე საერთოდ შეუძლებელია, შესაძლოა, ფეხბურთელები სულ უკეთ და უკეთ დააჯილდოვონ, მაგრამ მათ სულ მეტსა და მეტს მოსთხოვენ.

● ***ამასთან, თქვენ ამბობთ, რომ ფეხბურთი ვერ დათრგუნავს ცალკეული მოთამაშეების საჩემპიონო ხასიათს. რას ნიშნავს ეს სიტყვები?***

– ვფიქრობ, ცალკეული ტაქტიკური „ეშმაკობა“ აღარ იქნება. 90-იან წლებში დავდიოდით მატჩებზე, რომელთა ყურება არც კი შეიძლებოდა (ეტყობა, ტრაპატონი გულისხმობს საკის ნაკრების გარეგნულად ნაკლებად მიმზიდველ თამაშს – *რედ.*). პრესინგი სპობდა თამაშს – მისი პრინციპი კი იყო არ მიეცა მეტოქისათვის გასაქანი. ახლა მატჩებისათვის თვალყურის დევნება უფრო საინტერესო გახდა, ამასთან, აქ მხოლოდ ფიფას მიერ მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის შემდეგ განხორციელებულ სიახლეებს არ უმოქმედიათ. ჩემი აზრით, ახლა თამაშის მეტი სურვილი, მაყურებლისათვის საფეხბურთო სპექტაკლის გამართვის მეტი მისწრაფება, კარის აღების მეტი ცდაა. აგრეთვე შეტევითი მოქმედება თამაშის ორგანიზაციაზე, გუნდის რგოლებს შორის წონასწორობაზეა დამოკიდებული. აქ იმას არა აქვს მნიშვნელობა, გუნდებს ერთი თუ მეტი თავდამსხმელი ეყოლებათ, თორემ დღეს ჩვენ ყველანი ხუთი ფორვარდით ვითამაშებდით, აი სწორედ ასეთ ვითარებაში გუნდისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის შემადგენლობაში ჩემპიონური ყაიდის მოთამაშის ყოლას, რომელსაც შეუძლია ხშირად მატჩის ბედის გადაწყვეტა. მისი სათამაშო ინიციატივის დათრგუნვა, ვითომდა კოლექტივის ინტერესებისათვის სრული ნონსენსი გახლავთ. მე არა მგონია, რომ ტაქტიკის სფეროში რაიმე კარდინალური ცვლილებები მოხდეს. ყველა ტაქტიკური სისტემა რახანია აპრობირებულია. ჩემის მხრივ, მინდოდა გამომეთქვა სურვილი მეტი გაგებით მოჰკიდებოდნენ სხვადასხვა სათამაშო სქემის მიმდევრებს. მწვრთნელს უნდა ჰქონდეს უფლება შეარჩიოს მოთამაშეები მათი ინდივიდუალური თვისებების და საკუთარი შეხედულებების მიხედვით.

## ანელკა პსჟ-ს გულშემატკივრებს აკრიტიკებს

საფრანგეთის „პარი სენ-ჟერმენის“ ფერადკანიანმა თავდამსხმელმა ნიკოლა ანელკამ გუნდის გულშემატკივრები გააკრიტიკა: „მათ გაჭირვების ჟამს ზურგი შეგვაქციეს, ნაცვლად იმისა, რომ გვიქომაგონ, პირიქით, გვისტვენენ და შეურაცხმყოფელ სიტყვებს გვეძახიან. თუ ასეთი ჭკვიანები არიან, თავად გავიდნენ გაზონზე, ჩვენ კი, ფეხბურთელები, ტრიბუნებიდან მივადევნებთ თვალს“. გარდა ამისა, ანელკა თვლის, რომ გულშემატკივრებს იგი ეჯავრებათ: „რატომღაც გავრცელებულია აზრი, რომ პარიზულ გუნდში ფულის გულისთვის ვთამაშობ. ისინი მოითხოვენ, რომ ბურთთან ყოველი შეხება გოლით დავასრულო, ეს ხომ არარეალურია. დაე, ყველამ იცოდეს, რომ ძალებს არ ვზოგავ და ვთამაშობ ისე, როგორც შემიძლია. მომავალშიც მინდა გავაგრძელო ხელშეკრულება პსჟ-სთან“.

### „იგი უაღრესად ნიჭიერია“...

**...ასე ფიქრობს ლონდონის „არსენალის“ მთავარი მწვრთნელი არსენ ვენგერი ბრაზილიელ ნახევარმცველ ედუზე, რომელთანაც ამას წინათ გაფორმდა კონტრაქტი. პირველად ედუსთან ხელშეკრულების დადებას ჯერ კიდევ შარშან აპირებდნენ, იგი ჩავიდა კიდეც ლონდონში, მაგრამ ჰიტროუს აეროპორტში დააკავეს და უკან დააბრუნეს, რადგან საბუთები წესრიგში არა ჰქონდა. ედუმ განაგრძო თამაში „კორინთიანსში“, მაგრამ ამასობაში პორტუგალიის პასპორტი მოიპოვა, რის შემდეგ „არსენალში“ გადასვლა შესაძლებელი გახდა.**

**– ედუ სერიოზულად გააძლიერებს ჩვენს გუნდს – ასე ამბობს არსენ ვენგერი.**

## შერინგემი თავს იფასებს



**ინგლისის პრემიერლიგის ერთპიროვნული ლიდერის „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარმა დამრტყმელმა ძალამ, 34 წლის ტედი შერინგემმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ კონტრაქტის დასრულების შემდეგ ამ ზაფხულს დატოვებს კლუბს, თუ მას არ შესთავაზეს უკეთესი პირობები.**

## „მილანმა“ ჩემპიონთა ლიგის მატჩის წინ მალდინიც დაკარგა

**იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში („მილანი“ – „ბოლონია“) როსონიერებმა კიდევ ერთი მცველი დაკარგეს – ამჯერად ტრავმა მიიღო პაოლო მალდინიმ (ადრე მწყობრიდან გამოვიდნენ კოსტაკურტა და შამოტი, ხოლო როკე ჟუნიორი ტრავმირებულია). ამრიგად, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში საფრანგეთის პსჟ-სთან „მილანში“ მხოლოდ ერთი „წმინდა“ მცველი იქნება – სალა (კალაძეს უფლება არა აქვს ამ ტურნირში ითამაშოს ალბერტო ძაკერონის გუნდში).**

## «ლივერპულის» ფანებს ციხე მიუსაჯეს

„ლივერპულის“ ორ ფანატს იტალიის მართლმსაჯულებამ სამ-სამი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. „რომასთან“ უეფას თასზე მერვედფინალური მატჩის შემდეგ ისინი პოლიციამ მაშინ დააკავა, როცა სუვენირების მაღაზიიდან მაისურებს იპარავდნენ.

## სისხლი თურქეთის სტადიონებზე

„სამსუნსპორის“ სამი გულშემატკივარი დანით დაჭრეს თურქეთის ჩემპიონატის ლიდერთან „გალათასარაისთან“ მატჩის წინ.

## ჯორჯ ვეა – მარსელის „ოლიმპიკშიც“ თამაშობს და ლიბერიის ნაკრების მთავარი მწვრთნელიცაა

თუ არ ვცდებით, ასეთი რამ საერთაშორისო ფეხბურთში ჯერ არ მომხდარა: განთქმული ჯორჯ ვეა, რომელიც იტალიიდან ჯერ ინგლისში გადაბარგდა, ინგლისიდან კი საფრანგეთში, ახლა მარსელის „ოლიმპიკის“ მოთამაშეა და ფეხბურთელის კარიერის დასრულებას სულაც არ აპირებს, ერთდროულად გახდა ლიბერიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

ვეას ამ ნაკრებთან ყოველთვის მჭიდრო კავშირი ჰქონდა. ჯერ ერთი, იგი ამ კოლექტივში დიდხანს თამაშობდა, არაერთხელ საკუთარი სახსრებით მოუწყვია შეკრებები, რადგან ლიბერიელთა ფინანსური შესაძლებლობები მეტად მოკრძალებულია. ვეა მდიდარი კაცია, ნაკრებს სისტემატურად ეხმარებოდა ფულით და ნივთებით. ახლა კი უკვე მისი ხელმძღვანელი გახდა. ლიბერიელები აფრიკულ დონეზე არასოდეს გამოირჩეოდნენ, რაიმე სპორტული წარმატებები ადრე არა ჰქონიათ, ახლა კი, საკმაო ამბიციები გაუჩნდათ. ისინი მეორე აფრიკულ შესარჩევ ჯგუფში გამოდიან (5 აფრიკული ჯგუფიდან 5 გამარჯვებული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლებას მიიღებს), სადაც მეტად ძლიერი მეტოქეები ჰყავთ, პირველ რიგში კი ნიგერიისა და განის ნაკრებები. და აი, პირველივე მატჩში ვეას ხელმძღვანელობით გასვლით შეხვედრაში განელებთან ლიბერიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3-1. ახლა 3 მატჩის შემდეგ 6 ქულა აქვთ და ნიგერიელებთან პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ. ყოველ შემთხვევაში, ვეას დებიუტი მწვრთნელის პოსტზე ბრწყინვალე გამოდგა.





**William HILL**

| | | | 1 | 2 | 3 |
|---|---|---|---|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | |
| მანჩესტერი – ვალენსია | 20.02 | 23.45 | 1,57 | 3,30 | 5,50 |
| პანათინაიკოსი – შტურმი | 20.02 | 23.45 | 1,53 | 3,30 | 6,00 |
| დეპორტივო – გალათასარაი | 20.02 | 23.45 | 1,57 | 3,30 | 5,50 |
| პსჟ – მილანი | 20.02 | 23.45 | 2,50 | 3,10 | 2,50 |
| სპარტაკი – ბაიერნი | 21.02 | 21.00 | 2,40 | 2,90 | 2,75 |
| არსენალი – ლიონი | 21.02 | 23.45 | 1,44 | 3,60 | 6,50 |
| ანდერლეხტი – ლიდსი | 21.02 | 23.45 | 1,90 | 3,20 | 3,50 |
| ლაციო – რეალი | 21.02 | 23.45 | 2.00 | 3,20 | 3,20 |
| **უეფას თასი. განმეორებითი მატჩები** | | | | | |
| პარმა – ეინდჰოვენი | 22.02 | 22.00 | 1,57 | 3,30 | 5,50 |
| კაიზერი – სლავია | 22.02 | 22.30 | 1,44 | 3,60 | 6,50 |
| ბარსელონა – აეკი | 22.02 | 24.00 | 1,28 | 4,50 | 8,00 |
| ლივერპული – რომა | 22.02 | 24.00 | 2,10 | 3,40 | 2,80 |
| სელტა – შტუტგარტი | 22.02 | 00.45 | 1,61 | 3,10 | 5,50 |
| ბორდო – რაიო | 22.02 | 21,30 | 1,57 | 3,30 | 5,50 |
| ნანტი – პორტო | 22.02 | 23.45 | 1,72 | 3,20 | 4,33 |
| ინტერი – ალავესი | 22.02 | 24.00 | 1,44 | 3,60 | 6,50 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | |
| დანდი – დანფერმლაინი | 21.02 | 23.30 | 2,10 | 3,20 | 3,00 |
| აბერდინი – სტ. მირენი | 21.02 | 23.45 | 1,66 | 3,30 | 4,50 |
| სელტიკი – მოზერველი | 21.02 | 23.45 | 1,16 | 5,50 | 12,00 |
| **ინგლისი. პირველი დივიზიონი** | | | | | |
| ბარნსლი – კრ. პალასი | 20.02 | 23.45 | 2,25 | 3,20 | 2,75 |
| ბარნლი – ფულჰემი | 20.02 | 23.45 | 4,33 | 3,40 | 1,66 |
| ჯილინგემი – ქპრ | 20.02 | 23.45 | 1,66 | 3,30 | 4,50 |
| ნორვიჩი – სტოკპორტი | 20.02 | 23.45 | 1,80 | 3,10 | 4,00 |
| პრესტონი – ბირმინგემი | 20.02 | 23,45 | 2,25 | 3,20 | 2,75 |
| შეფილდ იუნაიტ. – ვულვზი | 20.02 | 23,45 | 1,80 | 3,30 | 3,75 |
| უოტფორდი – ბლექბერნი | 20.02 | 23.45 | 2,50 | 3,10 | 2,50 |
| ვესტბრომვიჩი – ქრიუ | 20.02 | 23.45 | 1,50 | 3,60 | 5,50 |
| ბოლტონი – გრიმსბი | 20.02 | 24.00 | 1,36 | 3,75 | 8,00 |
| ნოტ.ფორ. – შეფილდ უენს. | 21.02 | 23.45 | 1,57 | 3,30 | 5,50 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული პლანეტა

## ნბა:

### გეიგერი დისკვალიფი-ცირებულია




„ფილადელფიამ" ბოლოდროინდელი წარუმატებელი მატჩების სერია შეწყვიტა და მოქმედი ჩემპიონი „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" დაამარცა 112:97, ვიტყობინებოდით „ლელოს" წინა ნომერში. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ გაირკვა, რომ იყო ერთი გარემოება, რომელმაც მასპინძლებს გამარჯვების სიხარული ერთობ ჩაუმწარა — „სამოცდათექვსმეტიანების" ფორვარდის მეტ გეიგერის დოპინგ-ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა. მაშასადამე, ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციაში უნიკალური ამბავი მოხდა — გეიგერი ნბა-ს ორმოცდაათწლიან ისტორიაში მხოლოდ მეორე (!) კალათბურთელია, ვინც დოპინგის ხმარებაში ამხილეს. და იცით, ლიგის მამებმა რა სასჯელი გამოუტანეს მოთამაშეს? არა, ნუ იფიქრებთ, რომ გეიგერი საყვარელ თამაშს რამდენიმე წლით ჩამოაშორეს. სასჯელი ერთობ სასაცილოა — ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია. თავად გეიგერმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „უცოდველი ვარ, ადრე არ ვიცოდი, რომ პრეპარატი, რომელიც სულ ახლახან ლიგაში აკრძალეს, ასეთი მავნე იყო ჯანმრთელობისთვის. გავიგე თუ არა ეს ამბავი, იმთავითვე შევწყვიტე მისი გამოყენება, მაგრამ, ეტყობა, ამ წამლის ნაწილაკები დიდი ხნით რჩება ორგანიზმში".

ახლა კი თავად ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის მსვლელობას დავბრუნდეთ და შაბათ-კვირას გამართული მატჩების შედეგებს გაგაცნობთ: პორტლენდი-ბოსტონი 81:85, სიეტლი — ატლანტა 94:101, ჩიკაგო — მაიამი 89:82, დალასი — ვაშინგტონი 112:105, ჰიუსტონი — კლივლენდი 92:80, მილუოკი — შარლოტი 93:103, ნიუ-ჯერსი — კლიპერსი 102:96 (ოტ), საკრამენტო — იუტა 90:94, მინესოტა — ვანკუვერი 102-110, ინდიანა — ლეიკერსი 110:109, ორლანდო — ნიუ-იორკი 96:88, დენვერი — ვაშინგტონი 98:101, გოლდენ სტეიტი — ატლანტა 91:98, ფილადელფია — ფინიქსი 104:98, ტორონტო — სან-ანტონიო 74:92.

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| ფილადელფია | 39 | 14 | 73,6 |
| მაიამი | 32 | 21 | 60,4 |
| ნიუ-იორკი | 30 | 20 | 60,0 |
| ორლანდო | 27 | 23 | 54,0 |
| ბოსტონი | 24 | 28 | 46,2 |
| ნიუ-ჯერსი | 17 | 37 | 31,5 |
| ვაშინგტონი | 12 | 40 | 23,1 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| მილუოკი | 30 | 20 | 60,0 |
| ტორონტო | 27 | 24 | 52,9 |
| შარლოტი | 28 | 26 | 51,9 |
| ინდიანა | 22 | 28 | 44,0 |
| კლივლენდი | 20 | 30 | 40,0 |
| დეტროიტი | 20 | 32 | 38,5 |
| ატლანტა | 17 | 35 | 32,7 |
| ჩიკაგო | 8 | 42 | 16,0 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | | | |
|---|---|---|---|
| **შუადასავლეთის დივიზიონი** | | | |
| სან-ანტონიო | 34 | 16 | 68,9 |
| იუტა | 33 | 16 | 67,3 |
| დალასი | 33 | 20 | 62,3 |
| მინესოტა | 32 | 21 | 60,4 |
| დენვერი | 28 | 25 | 52,8 |
| ჰიუსტონი | 27 | 26 | 50,9 |
| ვანკუვერი | 16 | 36 | 30,8 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი | 37 | 16 | 69,8 |
| საკრამენტო | 33 | 16 | 67,3 |
| ლეიკერსი | 33 | 17 | 66,0 |
| ფინიქსი | 30 | 20 | 60,0 |
| სიეტლი | 28 | 26 | 51,9 |
| კლიპერსი | 16 | 37 | 30,2 |
| გოლდ.სტეიტი | 15 | 36 | 29,4 |

**კრივი**

## სავონი ოლიმპიური ორდენით დაჯილდოვდა

სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ცნობილ მძიმეწონოსან კუბელ მოკრივე ფელიქს სავონს უმაღლესი სპორტული ჯილდო — ოლიმპიური მედალი გადაეცა. მოიპოვა რა მესამე ოლიმპიური ოქროს მედალი სიდნეიში, სავონმა დაასრულა თავისი სპორტული კარიერა, მაგრამ კრივიდან არ წასულა. ამჟამად იგი კუბის ნაკრების მწვრთნელად მუშაობს. „ეს ჯილდო არა მხოლოდ მე, არამედ მთელ კუბის კრივს ეკუთვნის" — განაცხადა სავონმა.



## მოკლეს საფრანგეთის ჩემპიონი

ქვესაშუალო წონის მოკრივე საფრანგეთის ჩემპიონი პროფესიონალთა შორის ფრედერიკ ნოტო საკუთარ ბინაში მოკლული აღმოაჩინეს.

**სამთომეთხილამურეობა**

## ისომეტსა დისკვალიფიცირებულია

კვირას, ფინეთში მიმდინარე მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატზე ვაჟები გუნდერსენის სისტემით ასპარეზობდნენ. ოქროს მედალი მოიპოვა შვედმა იენს ელოფსონმა. მეორე ადგილზე გავიდა ფინელი იარი ისომეტსი, მაგრამ მოგვიანებით იგი დისკვალიფიცირებული იქნა, ვინაიდან მოთხილამურის დოპინგ-სინჯმა დადებითი შედეგი აჩვენა (ვარაუდობენ, რომ ფინელს ორი წლით ჩამოაშორებენ თხილამურებს). ამრიგად, ვერცხლის მედალი გადაეცა ესპანელ იოხან მიულეგს, ბრინჯაოსი — რუს ვიტალი დენისოვს. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე დისკვალიფიცირებულმა ისომეტსმა გულწრფელად აღიარა, რომ იღებდა წამალს სისხლში გემოგლობინის დასაწევად.

გუშინვე მსოფლიო ჩემპიონატზე ჩატარდა გამოდევნებითი რბოლა ქალთა შორის. ოქროს მედალი მოიპოვა ფინელმა ვირპი კუიტუნენმა, რომელმაც უკან ჩამოიტოვა რუსები ლარისა ლაზუტინა და ოლგა დანილოვა.



**ჩოგბურთი**

## დაბადების დღე ასე აღნიშნა

პირველი ტურნირი ამ სეზონში მოიგო რუსმა ჩოგბურთელმა ევგენი კაფელნიკოვმა. „მარსელის თასის" მეცამეტე გათამაშების ფინალში მან სძლია ფრანგ სებასტიან გროჟეს 7:6 (7:5), 6:2. აღსანიშნავია, რომ კაფელნიკოვს ამ დღეს 27 წელი შეუსრულდა და მან თავის თავს შესანიშნავი საჩუქარი უძღვნა — ტურნირის საპრიზო ფონდი 500 ათას დოლარს შეადგენდა. ამ გამარჯვებით რუსი ჩოგანი ATP-ს რეიტინგში მეოთხე ადგილზე დამკვიდრდა.

## «ბასკოს» წარმატებული «საერთაშორისო ნათლობა»

ამ დღეებში ბათუმი პრესტიჟული ტურნირის ერთ-ერთი ჯგუფის მატჩების მასპინძელი ქალაქი გახდა. „ჩელენჯ კაპი" ჩრდილოეთ ევროპის საკალათბურთო ლიგის ეგიდით ტარდება. სწორედ ამ ტურნირის მეორე დივიზიონის A ჯგუფში ასპარეზობს საქართველოს ეროვნული ნაკრების საბაზო კლუბი „ბასკო", რომლის გარდა ბათუმში შეიყარნენ ორი ესტონური გუნდი – „დელტა" და „ნიბიტი" და ერთიც ბელორუსიის ჩემპიონი „გროდნო-93".

ამთავითვე ვიტყვით, მასპინძლებმა კარგად იასპარეზეს და სამივე მატჩი მოიგეს: „გროდნო-93"-თან – 77:63, „ნიბიტთან" – 77:58, „დელტასთან" – 87:83. საბოლოოდ, ბათუმური ეტაპის შემდეგ ადგილები ასე განაწილდა: „ბასკო"-3 გამარჯვება, „გროდნო-93" – 2, „დელტა" – 1, „ნაბიტი" – 0.

აღსანიშნავია, რომ „ჩელენჯ კაპის" მეორე დივიზიონის დანარჩენ „B" და „C" ჯგუფებში მატჩები 23 თებერვლამდე გაგრძელდება. ტურნირის მეორე ეტაპზე თამაშის უფლებას მოიპოვებს თითოეული ჯგუფის სამ-სამი საუკეთესო გუნდი, მათ ემატებათ საუკეთესო შედეგის მქონე ერთი მეოთხეადგილოსანი. მეორე ეტაპზე ამ ათეულს შეუერთდებიან პირველი დივიზიონის ბოლო ოთხ ადგილზე გასული გუნდი და შვედეთ-ფინეთის ლიგის ორი საუკეთესო. ეს 16 გუნდი ოთხ ჯგუფად დაიყოფა და მათში გამარჯვებულები უძლიერესს გამოავლენენ (მეორე ეტაპის მატჩები მარტში გაიმართება).

**ახლა „საშინაო" საკალათბურთო ცხოვრებაზეც ვთქვათ. საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპი 24 თებერვალს დაიწყება. გთავაზობთ საუკეთესო ექვსეულის პირველ და მეორე წრეების შეხვედრათა კალენდარს.**

***24 თებერვალი:*** აზოტი – თსუ, სტუ – მაკაბი; ***25 თებერვალი:*** შევარდენი – მაკაბი, აზოტი სტუ; ***28 თებერვალი:*** ბასკო – თსუ; 1 მარტი: ბასკო – შევარდენი; ***2 მარტი:*** ბასკო – აზოტი; ***5 მარტი:*** შევარდენი – აზოტი, თსუ – სტუ, მაკაბი – ბასკო; ***6 მარტი:*** თსუ – შევარდენი, სტუ – ბასკო, მაკაბი აზოტი; ***7 მარტი:*** შევარდენი – ბასკო, თსუ – აზოტი, მაკაბი – სტუ; ***9 მარტი:*** თსუ – მაკაბი, შევარდენი – სტუ, აზოტი – ბასკო; ***10 მარტი:*** თსუ – ბასკო, მაკაბი – შევარდენი, სტუ – აზოტი; ***11 მარტი:*** სტუ – თსუ, აზოტი – შევარდენი; ***15 მარტი:*** ბასკო – მაკაბი; ***16 მარტი:*** ბასკო – სტუ; ***20 მარტი:*** აზოტი – მაკაბი, შევარდენი – თსუ; ***21 მარტი:*** სტუ – შევარდენი, მაკაბი – თსუ.

მეორე ეტაპის დასკვნითი, მესამე წრის მატჩები 10-14 აპრილს გაიმართება. აქ გაირკვევა „პლეი-ოფების" მონაწილე გუნდები.



## ავარიამ მრბოლი შეიწირა

ფლორიდაში (აშშ) დაიტონთან ახლოს ჩატარდა ავტორალი „დაიტონის 500 მილი". ამ შეჯიბრში თავის „შევროლეზე" გაიმარჯვა მიხაელ უოლტრიპმა. სამწუხაროდ, რალმა იმსხვერპლა სახელგანთქმული პილოტის, NASCAR-ის შვიდგზის ჩემპიონის, 49 წლის დეილ ერნჰარდის სიცოცხლე.

ტრაგედია მოხდა ფინიშთან ახლოს, როცა მრბოლებმა 290 კმ/სთ-ში სისწრაფე განავითარეს. სტერლინგ მარტინმა თავისი „დოჯით" ერნჰარდის „შევროლეს" გაჰკრა, რის გამოც დეილის მანქანა ტრასის შუაში მოექცა. ბოლოს, დაბზრიალებული ავტომობილი კენ შრეიდერის „პონტიაკს" შეასკდა (*იხ. ფოტო*).

მშველელებმა ავტოგენით სასწრაფოდ გაჭრეს ერნჰარდის მანქანა და უგონოდ მყოფი პილოტი საავადმყოფოში გააქანეს. სამწუხაროდ, თავის ქალის ტრავმა სასიკვდილო აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ რალში მონაწილეობდა და მეორე შედეგი აჩვენა დაღუპულის 26 წლის შვილმა დეილ ერნჰარდმა.

### ფორმულა-1: კულთჰარდმა ვალენსიის რეკორდი გააუმჯობესა

მოახლოებული სეზონის წინ ფორმულა-1-ის ცნობილი პილოტები ტესტ-გარბენებში მონაწილეობენ.. ერთი ასეთი ვალენსიის ავტოდრომზე მოხდა, სადაც „ჯორდანისა" და „ზაუბერის" ერთბაშად 10 მრბოლი შეიყარა. ამათ ბოლოს „მაკლარენის" პილოტებიც შეემატნენ და გახურდა ბრძოლა. ყველაზე მაღალი შედეგი მაკლარენელმა დევიდ კულტჰარდმა აჩვენა, მან ავტოდრომის რეკორდი დაამყარა.

## გავიმარჯვეთ, მაგრამ შეგვეძლო უკეთ გვებურთავა

*(მეორე გვერდიდან)*

თბილისისგან განსხვავებით, სევილიაში ძალიან ცხელოდა — 25 გრადუსი იდგა. რუმინეთი მატჩის ადგილზე ერთი კვირით ადრე შეიკრიბა და ბარაქიანად ივარჯიშა. მოსალოდნელი პრემიების ამბავი რომ შეიტყვეს, საფრანგეთში დაფუძნებულ კარპატელ ვარსკვლავებს — გეორგე სოლომიეს და გაბრიელ ბრეზოიანუს ციმციმ გაუღვივდათ პატრიოტიზმი და ნაკრების მწვრთნელ მირჩა პარასკივს თავზე ნაცარ წაყრილნი ეახლნენ.

ცალკე სათქმელია 24 წლის სორინ სოკოლი. 1996 წელს იგი ჭაბუკთა მსოფლიო პირველობის საუკეთესო მორაგბე გახდა, მაგრამ აქამდე კაცთა ნაკრებში თამაშს უარობდა, რაკი საფრანგეთის „მამლებში" მოხვედრა ეიმედებოდა. ფრანგული „ბრივის" ორმეტრა ჭეელმა ეს რომ ვერ შეძლო, ისევ სამშობლოს შეხედა მოწყალე თვალით და გუშინწინ „მუხის ფოთლოსანი" გახდა.

ესპანეთმა, ვინაც პირველ ტურში მადრიდში ერთი ქულით წააგო რუსეთთან, არც ამჯერად დაუდო ტოლი აღმოსავლეთ ევროპელ მეტოქეს. ტომით უკრაინელი ანდრეი კოვალენკოს ოთხი გოლით მასპინძლები ორი ქულით, 12:10 იგებდნენ მაშინაც კი, როცა თამაშის ბოლომდე მხოლოდ 15 წუთი რჩებოდა.

მაგრამ აქ, მასპინძელთა მტკიცებით, იტალიელმა მსაჯმა ბრეზოიანუს ცრუ ლელო ჩაუთვალა. ამან ესპანეთი მთლად არია და გამოცდილმა სტუმრებმაც ორწუთა მონაკვეთში კიდევ 10 ქულა მიითვალეს.

ამსტერდამში ცივი ქარი ქროდა. ტემპერატურა 7 გრადუსი იყო, ეროვნული ცენტრის ტრიბუნაზე კი ორი ათას ხუთას ფანს მოეყარა თავი.

რუსებს აკლდათ ფრანგული „მონტობანის" მეორეხაზელი, სერგეი სერგეევი, რომელიც საკლუბო მატჩში დაშავდა. სხვაფრივ, გაგარინის სამხედრო საჰაერო აკადემიის მოძღვარ ნიკოლაი ნერუშ საუკეთესო გუნდი შეეკრიბა და სამხრეთ საფრანგეთში ევარჯიშებინა.

თავიდანვე ღია ბურთაობა გაჩაღდა, მაგრამ პირველ მეოთხედში ანგარიში არ გახსნილა. „კრასნი იარის" დამრტყმელმა ვლადიმირ სიმონოვმა ორი საჯარიმო გააფუჭა, ციმბირელთა მგორავი მოლი კი „ტიტებმა" ზედ ლელოსთან დაამუხრუჭეს.

მეორე მეოთხედში რუსთა სიმარდემ თავისი გაიტანა და მათაც ზედიზედ ხუთჯერ დაალელოვეს მეტოქე . 29:0, მაგრამ განაწლდა თამაში შესვენების შემდეგ და „დათვებმა" საქმე მოთავებულად მიიჩნიეს, ხოლო ჰოლანდია თამაშის იშტაზე მოვიდა. ჰოდა, გარდასახული ლელოთი და ორი გოლით ანგარიში 29:13 გახდა.

აგრე არ უნდაო და სტუმრები გაფიცხდნენ. ამას დასკვნით ხუთწუთეულში კიდევ ორი ლელო მოჰყვა (პირველი მას შემდეგ, რაც ჰოლანდიამ საკუთარი შერკინება წააგო!), მაგრამ ბოლო და პრესტიჟის ლელო მაინც მასპინძლებმა გაიტანეს და ღირსეულად დამარცხდნენ.

***ჰოლანდია 20:41 რუსეთი***

***ჰოლანდია** — 2ლ: ლიპსი (43), სტრააცი (80); 2 გარდასახვა და 2 საჯარიმო (50, 59): სტრააცი*

***რუსეთი** — 7 ლელო: ზაკარლიუკი (22), შელეპკოვი (25), კუზინი (30), სერგეევი (34), ვამბაევი (38), სარიჩევი (75) და ბიკბოვი (77); 3 გარდასახვა (25, 34, 77): სარიჩევი*

**ორი ტურის შემდეგ:** რუმინეთი, საქართველო და რუსეთი 4-4 ქულა; ესპანეთი, პორტუგალია და ჰოლანდია 0-0 ქულა

**შემდეგ, III ტურში, 4 მარტს:** საქართველო კრასნოდარში ეწვევა რუსეთს, რუმინეთი კონსტანცაში უმასპინძლებს ჰოლანდიას, ხოლო ესპანეთი მადრიდში (და არა ვალიადოლიდში) ეთამაშება პორტუგალიას.

**ზაალ ბიბინეიშვილი**


თბილისელი მორაგბეები გამარჯვებულები ტოვებენ მოედანს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევგენი ბარეევი: ეპოქა ახალ ლიდერს ითხოვს

მას შემდეგ, რაც ვლადიმირ კრამნიკი მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ჟურნალისტები მის სეკუნდანტ ევგენი ბარეევს გასაქანს არ აძლევენ. გთავაზობთ ნაწყვეტებს მისი ინტერვიუდან, რომელსაც „კასპაროვ-საიტის“ დირექტორი დენის ბილუნოვი უძღვება.

● ***თქვენ გვეთანხმებით თუ არა, რომ კასპაროვთან მატჩის დაწყებამდე კრამნიკის გამარჯვებას საერთოდ არავინ ელოდა?***

— ადამიანებმა, უბრალოდ, არც კი იცოდნენ, რა იყო მოსალოდნელი. კრამნიკი იდუმალებით იყო მოცული: ვინ არის, რას წარმოადგენს. მას ხომ თავისი ნამდვილი პოტენციალი მატჩამდე ორი წლის განმავლობაში არსად უჩვენებია. ტურნირებში, სადაც დანარჩენი მოწინააღმდეგეები ნიჭითაც და თამაშის ძალითაც აშკარად ჩამოუვარდებოდნენ, მისი შედეგები იყო +2 +3... იგი თითქოს ინილბებოდა.

● ***უმნიშვნელო სატურნირო წარმატებები — ეს რა, შენიღბვის სპეციალური საშუალებაა?***

— რა თქმა უნდა. შესაძლოა, [illegible] ნიღბვაც ძოვიგე ორი-სამი პარტია, რაღაზე მოვიკლა თავი, მაღალ კოეფიციენტს ვინარჩუნებ, საკმაოდ მაღალ ადგილსაც ვიკავებ.

● ***შიროვთან მატჩის წაგებაზე რაღას იტყვით?***

— ეს ხომ დიდი ხნის წინათ იყო (1998 წელს). მას შემდეგ კრამნიკი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით აშკარად გაძლიერდა. მაშინ შიროვი, რა თქმა უნდა, ისეთი სიძლიერით თამაშობდა, როგორც არასდროს: მშვენივრად მოემზადა, კრამნიკს ენდშპილშიც კი აჯობა. ვფიქრობ, კრამნიკმა მაშინ იგი სათანადოდ არ შეაფასა.

● ***კრამნიკი სწორედ ლონდონის მატჩის წინ გაძლიერდა თუ ეს უფრო ადრე მოხდა?***

— როცა მას რეალური მიზანი გაუჩნდა, ამან მოახდინა ძალების მობილიზაცია.

ტურნირებს ხომ ადრეც იგებდა, კოეფიციენტიც საკმაოდ მაღალი ჰქონდა. როცა კასპაროვთან შეხვედრა რეალურ პერსპექტივად იქცა, ამან კრამნიკი აამოძრავა, ხელი შეუწყო გახსნილიყო.

● ***ბევრი მათგანი, მათ შორის მეც, ფიქრობს, რომ კრამნიკმა მატჩი, უპირველეს ყოვლისა, მოიგო ბრძოლის ძალიან ღრმად მოფიქრებული, გააზრებული სტრატეგიით.***

— როგორ გითხრათ. ზოგიერთ ვითარებას მოჭადრაკეები კონტროლს ვერ უწევდნენ. რა თქმა უნდა, ბრძოლის წარმართვის იდეები ორივე მხარეს ჰქონდა, მაგრამ კონცეფციების გამომჟღავნება ბოლომდე არ ხერხდებოდა.

● ***თქვენ კრამნიკთან ერთად განიხილეთ ბრძოლის წარმართვის მეთოდები?***

— არა, რა თქმა უნდა, ჩვენ ამას არ ვაკეთებდით. თითოეულ სეკუნდანტს შავი სამუშაოს თავისი ვიწრო უბანი ჰქონდა. ყველა კონცეფციით, ცხადია, თვით კრამნიკი იყო დაკავებული. ისე კი, ყველაფერი ცხადად ჩანდა: საჭირო იყო ლაზიერების გაცვლა, მოსაწყენი მანერით თამაში. სხვანაირად როგორ გინდათ კასპაროვის დამარცხება.

● ***როგორ ცხოვრობდით მატჩის მიმდინარეობის დროს? თუ ინგლისელ ჟურნალისტ ჯონ ჰენდერსონს დავუჯერებთ, მეტად მკაცრად, პირდაპირ მონასტრისათვის შესაფერისი რეჟიმით.***

— არ ვიცი, საიდან აიღო მან ეს ცნობები. ჩვენ ღვინოც გვქონდა, კონიაკიც. ამ საშინელი პარტიების შემდეგ კრამნიკს აუცილებლად უნდა მოეხსნა დაძაბულობა, რათა ძილი შეძლებოდა. მართალია, მე საერთოდ არა ვსვამ, მაგრამ ეს ხომ სხვებს არ ეხებოდა. სეირნობდნენ, ღვინოსაც სვამდნენ, ესპანელები — ღვინოს, მზარეული — ლუდს.

● ***ისე რომ, ახალი მსოფლიო ჩემპიონისათვის არაფერი ადამიანური უცხო არ არის?***

— დიახ, ასეა, ეს იყო კონცეფციების ბრძოლა, სადაც ახალმა ძველი დაამარცხა. სწორედ კრამნიკმა მოიტანა ეს ახალი. მისი გამარჯვება ნიშნავს ჰუმანისტური საწყისების ზეიმს მექანიკურ-სამანქანოზე. მართალია, ეს ადამიანებს ჯერ კიდევ არ გაუთვითცნობიერებიათ, რადგან ორთაბრძოლა ხომ სულ ახლახან დამთავრდა. რაც შემეხება მე, ვიცი, რომ ეს ასეა. სიტუაცია ახალ ჩემპიონს მოითხოვდა, რომელიც მოვიდოდა ახალი იდეებით, ახალი კონცეფციით. აი, ყოველივე ამას მოელოდნენ კრამნიკისაგან. სხვა საკითხია, რომ ყოველივე ეს იმედი შეიძლება არც კი გაამართლოს.

● ***მატჩი არ შედგებოდა, კასპაროვს რომ არ მოენდომებინა.***

— რაღა რჩებოდა მას გასაკეთებელი? ხუთი წლის განმავლობაში ერთი მატჩიც კი არ ითამაშა. ამასობაში ჩვენ ღვთის შეწევნით, ახალი ჩემპიონი გვყავდა — ალექსანდრ ხალიფმანი, რომელმაც ეს წოდება სრულიად დამსახურებულად მოიპოვა, მოიგო მთელი შეჯიბრება, დაამარცხა უძლიერესი მოჭადრაკეები.

● ***ვის თვლით ამ მომენტში მსოფლიო ჩემპიონად?***

— მე ვთვლი, რომ ამ მომენტისათვის მსოფლიო ჩემპიონი ორია: ერთი ფიდეს, ხოლო მეორე „ინტელექტუალური თამაშების“ ვერსიით. აი ასეთი სიტუაციაა, რომელსაც არეულობა, აშლილობა, განადგურებაც კი შეიძლება ეწოდოს, ისევე, როგორც კრიზისი. არის ორი ასოციაცია: ფიდე და „ბრეინ გეიმზ ნეთვერკი“ („ინტელექტუალური თამაშები“), ერთი სიტყვით, ილიუმჟინოვი და ლონდონში არსებული კომპანია. და, გარდა ამისა, არსებობს ბევრი ძლიერი მოჭადრაკე, რომელსაც სურს მსოფლიო ჩემპიონობისათვის იბრძოლოს.



ევგენი ბარეევი

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**20 თებერვალი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგა. „პარი სენ-ჟერმენი“ – „მილანი“ (23.40), მიმოხილვა (2.00). ***საქართველოს ხმა.*** მსოფლიო სპორტი (20.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. „მანჩესტერ იუნაიტედი“ – „ვალენსია“ (23.35). ჩემპიონთა ლიგის დღიური (2.25). ***НТВ плюс спорт.*** ფიგურული ციგურაობა. საჩემპიონო სერია „გრან-პრი“ (14.40), კიკბოქსინგი. საერთაშორისო მატჩი (17.55), სუმო. მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი (0.20), ***ESPN.*** იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (13.30), ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (15.30, 14.00, 23.00, 2.00), ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო პირველობა და თასი (11.30, 15.30, 18.30, 20.30, 3.15). ფეხბურთი. ევროგოლი (19.00). ***НТВ плюс футбол.*** საფრანგეთის ჩემპიონატი: „ბორდო“ – „ოსერი“ (13.15). გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (16.15), ჩემპიონთა ლიგის ჰიტპარადი (19.15), ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (22.40), ჩემპიონთა ლიგა: „პსჟ“ – „მილანი“ (23.40), „დეპორტივო“ – „გალათასარაი“ (1.45).

**21 თებერვალი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა (8.30), „ლაციო“ – „რეალი“ (23.40), მიმოხილვა (2.00). ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (20.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „სპარტაკი“ – „ბავარია“ (20.45), მიმოხილვა (2.30). ***НТВ плюс спорт.*** ფიგურული ციგურაობა. საჩემპიონო სერია გრან-პრი (14.50). მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება „ათენი-2001“ (19.45), ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა (23.25), ***ESPN.*** ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგა (8.30, 19.00, 23.30) პირდაპირი მიმოხილვა (2.00). ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები: მსოფლიო პირველობა და თასი (11.30, 12.30, 14.00, 17.00, 21.15). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა: „მანჩესტერ იუნაიტედი“ – „ვალენსია“ (13.15), ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.00), ჩემპიონთა ლიგა: „პსჟ“ – „მილანი“ (15.50), „დეპორტივო“ – „გალათასარაი“ (17.50), „პანათინაიკოსი“ – „შტურმი“ (20.20), „არსენალი“ – „ლიონი“ (23.40), „ლაციო“ – „რეალი“ (1.45). საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (22.05).

**22 თებერვალი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** რაგბის მოყვარულთათვის (20.50). ***რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (19.00), ევრიკა. მსოფლიო სპორტი (20.00). ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.40), ***НТВ плюс спорт.*** მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება „ათენი-2001“ (11.40), მინიფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (13.55, 15.55), ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა (17.45), კალათბურთი: ნბა (2.00), სუპერლიგა (20.55), ევროლიგა (23.30). ***ESPN.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (14.00, 22.00), ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის შეჯიბრებები (11.30, 13.30, 16.00 19.00, 20.00), ფეხბურთი. უეფას თასი (2.15). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა. „სპარტაკი“ – „ბავარია“ (13.15), „ლაციო“ – „რეალი“ (15.25), „ანდერლეხტი“ – „ლიდსი“ (23.25), მეოთხე ტურის მიმოხილვა (1.05), მინიფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17.05, 19.50).

## ტოტო ლოტო №06 ტირაჟის შედეგები 17-18.02.2001

**ლოტო 6-42: 5 11 15 16 28 29**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 6 რიცხვი | 0 | x 4012.90 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 5 რიცხვი | 0 | x 98.90 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 4 რიცხვი | 13 | x 10.10 ლარი | |
| 3 რიცხვი | 166 | x 1.30 ლარი | |

**სუპერ 7: 2 5 6 7 5 2 3**

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 5 6 7 5 2 3 --- | 50,000 ლარი | 5 2 3 --- | 50 ლარი |
| 5 6 7 5 2 3 --- | 15,000 ლარი | 2 3 --- | 3 ლარი |
| 6 7 5 2 3 --- | 5,000 ლარი | 3 --- | 0.50 ლარი |
| 7 5 2 3 --- | 500 ლარი | | |

**ტოტო ფეხბურთი: 2 2 X X 1 1 2 2 1 2 1 2**

**12 მატჩი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 შედეგი | 0 x | 13430.60 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 11 შედეგი | 0 x | 565.20 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 10 შედეგი | 1 x | 565.20 ლარი | |

07 ტირაჟის პროგრამა (24-25. 02. 2001)

| | | |
|---|---|---|
| 1. ინგ. | იფსვიჩი – ევერტონი | 60-20-20 |
| 2. ინგ. | მანჩესტერი იუნ. – არსენალი | 50-30-20 |
| 3. ინგ. | ქოვენთრი – ჩარლტონი | 20-40-40 |
| 4. იტა. | ვიჩენცა – რომა | 10-30-60 |
| 5. იტა. | პარმა – პერუჯა | 40-40-20 |
| 6. იტა. | ინტერი – უდინეზე | 40-30-30 |
| 7. გერ. | ბოხუმი – შტუტგარტი | 30-40-30 |
| 8. გერ. | ჰამბურგი – ვოლფსბურგი | 30-40-30 |
| 9. გერ. | აინტრახტი – ვერდერი | 30-40-30 |
| 10. ესპ. | რასინგი – მალიორკა | 20-20-60 |
| 11. ესპ. | დეპორტივო – რეალი | 30-40-30 |
| 12. ესპ. | მალაგა – ლას პალმასი | 20-40-40 |

**ტოტო ფეხბურთი: 1 2 1 2 1 1 2 X X 2 1**

**11 მატჩი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 შედეგი | 0 x | 106.10 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 10 შედეგი | 0 x | 9.00 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 9 შედეგი | 0 x | 9.00 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |

07 ტირაჟის პროგრამა (24-25. 02. 2001)

| | | |
|---|---|---|
| 1. გერ. I | შალკე – დორტმუნდი | 40-30-30 |
| 2. გერ. I | ბაიერნი – კიოლნი | 60-20-20 |
| 3. გერ. I | ჰერტა – უნტერჰახინგი | 60-20-20 |
| 4. გერ. I | აინტრახტი – ვერდერი | 30-40-30 |
| 5. გერ. I | ჰამბურგი – ვოლფსბურგი | 30-40-30 |
| 6. გერ. I | კაიზერი – ჰანზა | 50-30-20 |
| 7. გერ. I | ფრაიბურგი – მიუნხენ 1860 | 30-40-30 |
| 8. გერ. I | ბოხუმი – შტუტგარტი | 30-40-30 |
| 9. გერ. II | არმინია – ზანქტ პაული | 30-30-40 |
| 10. გერ. II | მიონხენგლადბახი – ალემანია | 50-30-20 |
| 11. გერ. II | როიტლინგენი – ვალდჰოფი | 40-30-30 |

## სპორტული ლოტო №06 ტირაჟის შედეგები 18.02.2001

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| | 2 | 14 | 10 | 19 | 9 | 22 | 11 | 24 | 20 | 12 |
| | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| | 15 | 5 | 17 | 3 | 8 | 6 | 18 | 16 | 23 | 21 |
| | | 10,000 | 1,000 | 100 | 50 | 10 | 3 | 2 | 1 | 2 |
| | 1 | 4 | 7 | 13 | | | | | | |

სოლოღაშვილი მურთაზი (თბილისი), [illegible] (რუსთავი)

## კროსვორდი №14



**თარაზულად:** 5,6. სახელოვანი ქართველი მოჭიდავეები, 8. ძალოსანი, 11. მძლეოსნობის იარაღი, 14. სპორტული სარბიელი, 15. ქართველი მოკრივე, 16. სტადიონი მექსიკაში, 17. აშშ-ს ნაკრების მცველი, 21. ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელი, 22. წარსულში ვოროშილოვგრადის საფეხბურთო გუნდი, 23. რუსთავის სკალათბურთო გუნდი, 26. ესპანეთის I დივიზიონის კლუბი, 27. ქართველი საფეხბურთო მსაჯი, 28. სპორტის სახეობა.

**შვეულად:** 1. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი, 2. ქართული ხალხური თამაში, 3. 1970 წლის მუნდიალის მსოფლიო ჩემპიონის მცველი, 4. იტალიის სერია B-ს კლუბი, 7. ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟი, 9. „ფორმულა-1“-ის პილოტი, 10. იტალიის სერია B-ს კლუბი, 12. 60-იანი წლების უნგრელი ფეხბურთელი, 13. კურორტი თურქეთში, 18. ქართველი მოჭადრაკე ქალი, 19. მითიური ბედაური, 20. ბეისბოლი ანუ..., 24. ყირგიზეთის საფეხბურთო გუნდი, 25. ესპანელი ფეხბურთელი, მცველი.

### №13 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** კომენტატორი, 8. „ლიდსი“, 10. სპრინტი, 11. „ციბონა“, 12. „ირაო“, 14. ვილნევი, 17. ჩივუ, 18. ზატოპეკი, 19. შუმახერი, 21. ლიგა, 22. დანელია, 23. აზია, 26. ზდენეკი, 27. „სიტარდი“, 28. „რაიო“. **შვეულად:** 1. ზონინი, 2. ბეილი, 3. სტადიონი, 4. ეტლი, 5. პრუნია, 7. სპარტაკიადა, 9. უნივერსიადა, 13. ოკოჩა, 15. „ისკრა“, 16. ვიუნი, 17. ჩუხუა, 20. სერია, 24. ვეა, 25. ეტო, 27. სო.

---

**გაზეთ „ლელოს“ რედაქცია ღრმა სამძიმარს უცხადებს ყოფილ თანამშრომელს ცისანა ნიკოლაიშვილს დედის გარდაცვალების გამო.**

პანაშვიდი 20 და 21.02, 16 სთ. გამოსვენება 22.02, 14 სთ-ზე. მისამართი: ლუდუშაურის, 27 (ყოფილი გრიზოდუბოვას ქუჩა).

**ჟურნალ „მართვეს“ ყოფილი თანამშრომლები თანაუგრძნობენ ცისანა ნიკოლაიშვილს დედის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია თანაგრძნობას უცხადებს სპორტული პრესის ღვაწლმოსილ მუშაკს ცისანა ნიკოლაიშვილს დედის გარდაცვალების გამო.**

## საჭადრაკო ამოცანა

ა. ლებედევი



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. c4! 1. ...მფb4 2. ლc3X. 1. ...მფa6 2. ლa8X. 1. ...a3 2. ლ:a3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.